


# ლიტერატურული გაზეთი

№ 14 13 - 26 ნოემბერი 2009

გამოდის ორ კვირაში ერთხელ, პარასკეობით

ფასი 50 თეთრი



ბესიკ ხარანაული

## ს ე ნ ა ს ი ა ნ ა ს ი ა ნ ა ს ი

ამ დროს ისე საშიშია,  
მნათობმაც კი იცის ცაზე  
და თვალთაგან ეღვენება  
თანაგრძნობა და სინაზე.  
ახლა დაბლა დავიხედოთ,  
ცოდვით სავსე ქვეყანაზე,  
სართულ-ქვემოთ ძალი ნკმუის,  
სხვის ცოლს ასხამს ოფლი ტანზე,  
სხვისი ბავშვი პურზე გარბის,  
— რა მიჯობსო? — ფიქრობს გზაზე...  
დრო დაუდგათ მზარეულებს,  
ააგებენ გოჭებს სარზე,  
ყველგან წრიალ-ტრიალია  
საჭმილის მიტან-მოტანაზე,  
მხოლოდ აქ კი სიმშვიდეა,  
ტკბილად სძინავს ყველას მკლავზე...

მაგრამ ზემორე ნათქვამი  
არ გავიგოთ უნდა ასე:  
თითქოს სახლში შიმშილია,  
ან არიან დიეტაზე,  
მაცივარი გაბუტვიათ,  
გამდგარია თითქოს განზე,  
აბლაბუდას გაუბია  
ქსელი საპურ-ყველეს კარზე...

ჰაიტ, თქვე მართლა მშივრებო,  
სრულ ოცდაოთხ საათშია,  
იმდენს სახლში ვინ შეიტანს,  
რაც ბუნების მარაგშია,  
თითქოს პირით ერჩეოდეთ  
მაცივარში ნალაგშია,  
შინ ცოლ-შვილი დაგმშვევიათ,  
ძალი ნკმუის შარაშია,  
იქ მიზეზებს ნუ დაეძებთ,  
სად იგინი არაშია,  
რამში-სხვაში ნულა ქექავთ,  
საქმე სწორედ ამაშია —  
დილის რვა-ცხრა-ათ საათზე  
ბესიკს სულაც არა შია,  
გაუყარა ბიჭმა ფერხნი  
გა-დიდებულ შარვალშია,  
ტანნი მჭევრნი შეუქიან,  
რა გავიდის ქალაქშია.

### ფანჯრები სულ დამეჩრდილა

ფანჯრები სულ დამეჩრდილა  
მეზობლის სარეცხისაგან,  
რა აქვთ ამდენი საჭეჭყი,  
ვერ გავიგე ვერვისაგან,  
ერთი ტრიკო გამომერჩა,  
ჭუჭულისა ფერისაგან,  
აქეთ-იქით შემაქანა,  
დავინყებულ სენისაგან,  
მაგრამ გული გავიმარე,  
— არ ეგების ბერისაგან!

მაგათ ისეთი ქალი ჰყავთ,  
ნაქებია ბევრისაგან,  
ცოტა ჯელი რომ ვიყო,  
ვერ დამხსნიდნენ ხელისაგან,  
ისეთ ბადეს მოვუქსოვდი  
კოცნისა და ხვევნისაგან...

### მეფა-პოეტი

ეჰ, ჩემო თავო, ბედო და  
სისუსტევე, სიბერეო და,  
ბნელში ვინეჭი მარტუა,  
თავი ბალიშზე მედო და,  
ლექსთ ვიგონებდი ბეჩავთა,  
სხვა არა მეგონებოდა,  
შემოჰყვა დედა ქალებსა,  
სანათურს ინათებოდა:  
— მაგან თუ თავი მოგთხოვათ,  
უარი არ შეჰბედოთა!

### ცუკანი

ცუკან გარეთ გამოვიდა,  
საფსმელადა, ლამფაითა,  
შხივილ ნამაალებინა,  
მე მეგონა, ცა დაიქცა,  
— ეჰ, ნეტავი, ჩემო თავო,  
მინამც გქნა, ბალახიმცა,  
რა მალევე განედღებოდი,  
მკვდარიმც იყო, ნალახიმცა!..

### ცუკანის თეთრმა პერანგმა...

ჯერ ყველა იმის ბრალია,  
რაც თავმა მიყო, ვერანმა,  
თავი რომ ჩრდილში მედო და  
ყვერები მზეში მეყარნა,  
ხელში ჩაქურჩის ჭერამა,  
ცელისა გამოკვერამა,  
გალმიით გაკიდებულმა  
ცუკანის თეთრმა პერანგმა,  
მემრე ჩრდილისა ქანებამ,  
რო გაიკრთომოს ჯერანმა,

ცუკანის ქმარმა, ბებერმა,  
მხართუკან გამობღვერამა,  
ცუკანის სახლში შემალვამ,  
გარეთ დამრჩალმა მზერამა.

### ღამე ცუკანთან...

რო გაიხადა პერანგი,  
ძვალ-რბილი გამეყინაო,  
იმისი ტანის სითეთრემ  
თითქოს ცას შესჭიხვინაო,  
ღამე გააპო, გაჰკვეთა,  
მინდორი გააბრწყინაო,  
მიანყდა გაღმა სახლებსა,  
ააცახცახა მინაო,  
ისეთი შუქი მოფინა,  
ვაჟკაცსა შემეშინაო,  
— ვაიმე, შენ ჩემო თავო,  
განა ქვეყანას სძინაო,  
ახლა რომ თავზე დამეცნენ,  
ჩემი პატრონი ვინაო?..  
ისეე ნაბადმა მიშველა,  
დაბლა რომ დამეფინაო,  
დავწექით, დავიფარენით,  
შემოვიბურეთ ბინაო,  
ნამს იქით ჭირში ნამყოფსა  
ნამს აქეთ მოგვეღვინაო,  
ის ღამე ცხრაჯერ გავტყებეთ,  
ცხრა ოფლი მოგვეღვინაო!..

### თავსაცინარი

ღმერთო ჩემო, ბესიკს შია,  
ღამის სამ-ოთხ-ხუთ საათზე,  
ამდგარა და დააბოტებს  
მოსახობნის ძიებაზე,





\*\*\*

ქალის ძუძუსთავებს ჰგვანან ასანთის ღერების თავები. საკმარისია, ასანთი გაკრა და ცეცხლი იფეთქებს, ვნების ცეცხლი. ჩვენ ყველა ასანთის კოლოფში ჩანყოფილი ღერები ვართ და იმისათვის მოვედით, რომ ერთხელ მაინც ავენთოთ და ვნებით ჩავინვათ, მაგრამ ბედი ყოველთვის არ გვიღიმი და ზოგჯერ ჩანვა არ გვეღიროს ხოლმე, ანთებისთანავე ვქრებით და ნაგავზე მოგვისვრის ბედი. ღმერთო, მიშველე, რომ რაც შეიძლება, დიდხანს ვენთო, ჩემი წილი სიბნელე დავამარცხო, ვნების ცეცხლით ჩავინვა და ბოლომდე ვთქვა ჩემი სათქმელი. ანთებული ასანთის ღერივით ვლოცულობ და რწმენის ცეცხლიც მიკიდია. ჩემი ვნება ღვთაებრივი ვნებაა და მანამ ვენთები, სანამ ცეცხლს ვინმეს არ გადავცემ, რათა გაგრძელდეს ასანთის ღერის სიცოცხლე და დაუხარჯავად არ დასამარდეს.

\*\*\*

მზემ ღრუბელს ფეხი წამოკრა და ცაზე დაეცა და ტირის, ტირის გულამოსკნით, როგორც ახლად ფეხადგმული ბავშვი და ცრემლებით მინას რწყავს და ცრემლების კვალზე ყვავილები იშლებიან სუფთა, როგორც ბავშვის თვალები. სამყარო ჯერ არ დაბერებულა და წინა აქვს მთელი სიცოცხლე. დედამინაც ჯერ ბავშვია და ბავშვებით არის გარშემორტყმული და ჯერ-ჯერობით თამაშობს ცაზე, მზეს ეთამაშება დახუჭობანას. მოვა დრო და დედამინა მზეს გასცდება და ახალ-ახალ პლანეტებს გაიცნობს და დაინყებს იმ საქმეებს, რომლისთვისაც ღმერთმა შექმნა და უცხოპლანეტელები ესტუმრებიან დედამინას და დედამინელები ესტუმრებიან უცხო პლანეტებს. ოლონდაც მანამ უნდა დაივიწყოს სამყარომ ომი, რათა ღვთის შექმნილი პლანეტები მშვიდად სუნთქავდნენ, როგორც ბავშვები, და ვარსკვლავები არ შეეჯახნენ ერთიმეორეს და როდესაც ეს მზე დაბერდება და მიიცვლება და დედამინას თან გაიყოლებს, გზა დარჩეს ცაში სხვა მზისა და დედამინისკენ.

\*\*\*

ყოველ დღით ზმორებით იღვიძებენ ჩემი ქოთნის ყვავილები და ფეხისწვერებზე დგებიან, რომ დამენახონ და მათი მორწყვა არ დამავინყდეს. წყალს ისე სვამენ, როგორც ბავშვები და ბავშვებით მილიმიან მათი ახალი კვირტები როცა ვუყურებ, ასე მგონია, მეც ვყვავი და მეც მიხარია, რომ კიდევ ერთი ახალი თვალთ – ახალი ყვავილით დავიჩინავ ქვეყნიერებას. ყოველ დღით რტოებს მიქნევენ ჩემი ქოთნის ყვავილები და „დილა მშვიდობისას“ მისურვებენ. მე მესმის მათი. მათ ესმით ჩემი. ჩემი სამყაროს ნაწილია ეს ყვავილები და ზამთარ-ზაფხულს მატანინებენ, სიცხე-სიცივეს მიმსუბუქებენ ამ ცხოვრებაში. ისე ყვავიან, თითქოს მღეროდნენ და ეს სიმღერა სულს მიმსუბუქებს და აღარ მიჭირს ამღვრეული ჩემი სულის ზიდვა, როცა ახლად თვალგახელილ ყვავილებს ვხედავ, ანგელოზის ფრთებით რომ გამოუხსამთ ყვავილები და ტოკავენ და ასაფრენად ემზადებიან.

\*\*\*

სიხარულის კარი დამეხშო და დამჭკნარი ფოთოლივით ვფარფატებ ქარში და არ ვიცი, ახლა საით წამიღებს ქარი. ნაოცნებარი ცა შორს დამრჩა. ჩემი გაფრენა დამარცხებით დამთავრდა. არა და ამ წუთს როგორ ველოდი, როგორ მინდოდა, მეც მეგება ის სიხარული, ცის დაპყრობას რომ მოსდევს ხოლმე. სიხარულის კარი დამეხშო, მე კი მაინც ვაწყნადები მას, როგორც დაჭრილი ჩიტი და გული მიდუღს. დამარცხებამ შიგ გულში დამჭრა. ნუთუ დამთავრდა ყველაფერი? ნუთუ სამუდამოდ მოვწყდი სიხარულის ხეს? ნუთუ ნაგავს უნდა მიმყოფოს მეეზოვემ, ეზოს რომ დაგვის და დამჭკნარ ფოთლებს



დალილა ბედანიძე

ისე დანვავს, როგორც წაუკითხავ ბედისწერის ფურცლებს? სიხარულის კარი დამეხშო. ქარი ვალს მაცეკვებს. იგი გალანტური კავალერია და როცა ცეკვა დამთავრდება, ნეტავ, რა მელის? მეეზოვის კოცონი, თუ გზა ცისაკენ, სამოთხისაკენ, სადაც არ არიან გამარჯვებულები და დამარცხებულები და ღვთის წინაშე ყველა თანასწორია!

\*\*\*

ცუდ სიზმარში ვარ. ყურებჩამოყრილი და გარინდებული მოვდივარ შინისკენ და გზადაგზა ხეები შრიალით მისამძიმებენ დარდით დამძიმებას. მძიმეა ჩემი დარდი, ველარ ვერევი, მძიმეა, როგორც მარხვის გატეხვა და ჩემს სულს ნისლად შემოხვევია. ცუდ სიზმარში ვარ. ციდან ვვარდები და მინას ისე ვეხეთქები, როგორც იკაროსი, რომელმაც აფრენის სიხარული ნახა, დაფრენისა კი - ველარ. განა ადამიანის სიხარული დიდხანს გრძელდება? იგი სულ ერთი წამია და მოსდევს დარდი სიხარულის დაკარგვის გამო. ცუდ სიზმარში ვარ. ჩემს ყვავილებს ქარმა თავები ნაწყვიტა და ყელგამოჭრილი ყვავილები მინას განერთხნენ. დავდივარ ყვავილების სასაფლაოზე და ვჩურჩულებ: „ღმერთო, გამაღვიძე!“

\*\*\*

ქუჩა სველი თვალბევით ახელს გუბებს და გუბებში წვეთები ცვივა, როგორც კენჭები, როცა ბავშვი წვიმა თამაშობს. წვიმას ვეთამაშები დამალობანას. ხან ის ეფარება ღრუბელს, ხან მე სახლის კედელს და ისე გავერთე ამ თამაშში, რომ ვერ შევნიშნე, წვიმა როგორ გამეპარა, როგორც ბავშვი, რომელსაც დედამ შინისაკენ დაუძახა და წვიმა წავიდა შინ, რადგან მზე ეძახდა. ქუჩაზე დარჩა ბავშვის ნახატებით გუბები. აი, ბელურა მოფრინდა და გუბიდან წყალს სვამს, წვიმის ნაფეხურებში ჩამდგარ წყალს. წვიმას დღეს არ უტირია, არამედ მღეროდა იმ სიმღერას, რომელიც ჩემში გუბების კრილოსანივით არის ასხმული და ლოცვისას თითო თვალს ჩავაგდებ ხოლმე და ასე შევმღერი უფალს წვიმასავით. წვიმამაც ილოცა და მეც ვილოცე. ქუჩა სველი თვალბევით ახელს გუბებს და წვიმის სისხლი ჩემს მხერამი დაგუბებულა.

\*\*\*

მზე გამიშავდა და დანახშირდა და ცა ისე დაცარიელდა, არც ერთი ვარსკვლავი აღარ მოჩანს და ცარიელ ცაზე გზადაბნეული დაეხეტება ჩემი სული და ამ ხეტიალს დასასრული არ უჩანს და ისე ვმძიმდები, ჩამოვარდნისა მეშინია და ცის ტატნობს ვებლაუჭები. აღარ მადარდებს, რა ხდება დედამინაზე, რომელსაც მოვწყდი, როგორც ხეს წყდება ნაყოფი და ქარმა ზეცას ისე გამაკრა, როგორც მეპურემ პური - თონეს და ვცხვები ცაში,

რათა დავბრუნდე პურად ჩვენი არსობისა და მშვირები დავაპურო ცხელი პურის ლუკმებით - სიტყვებით. მზე გამიშავდა და დანახშირდა, ცის თონე ანთია და სიტყვებად ქცეული წამკითხველს ველოდები, რომელიც ჩამომიყვანს ცარიელი ზეციდან, დარდის სამოსელს გამხდის, ვარსკვლავების ღიმილს მარუქებს, გამაცისკროვნებს და დამავინყებს იმ ტკივილებს, სიტყვებად დაშლისას რომ გადავიტანე და ახალ მზეს მარუქებს - ახალ ბედნიერებას.

სპიტრი

ზოლებიანი სვიტრი ვიყიდე. ზებრაზე უფრო ლამაზია ჩემი სვიტრის ზოლები. ვიყურები სარკეში და ფერებს ვითვლი - თითქოსდა ცისარტყელა მეცვას და ცაში ვიყო სიხარულისგან. ვერასოდეს წარმოვიდგენდი, თუ უბრალო სვიტრი ასე გამახარებდა. ახლა თამამად გამოვჩნდები ტოლ-მეგობრებში, რადგან წელს ზოლებიანი ტანსაცმელია მოდაში და მოდას ხარკი მეც მოვუხადე, არ ჩამოვრჩი და შევძელი, ზოლებიანი სვიტრი მეყიდა. აი, მოგვცდები და ახალი ტანსაცმელი აღარ დამჭირდება. სანამ ცოცხალი ვარ, მინდა, გავიხარო პანანინა სიხარულით, ზოლებიანი სვიტრი რომ ჰქვია. ცხოვრება იმად არა ღირს, რომ ასეთ რამეზე გული დაინყვიტო - გაფრინდება და საიქიმში გიკრავს თავს და მერე რა, რომ უკანასკნელი ფული დავხარჯე! ამ ფულით ასეთ სიხარულს მე ვერ შევიძენდი. ზოლებიანი სვიტრი ვიყიდე, ჩავიცვი და სარკეს შევხარი და მიხარია, რომ მიხდება და ამ წუთისოფელს გამოვგლიჯე წამი ციციქნა სიხარულისა.

სახლი

სახლი მოკვდა. ფანჯრებზე შავი ქუთუთოები - შავი ფარდებია ჩამოფარებული. სახლი მუნჯია, ჩქამი არ ისმის და სახლის ხმებიც ჩამკვდარია და ფანჯრის მინებს მზე უკაკუნებს, მკვდრის მზე, რომელიც ცის სარკმელია და ამ სარკმლიდან ცეცხლის ენები მოცოცავენ სახლისაკენ და სახლის ადგილას მალე მხოლოდ ორმო დარჩება, როგორც უზარმაზარი საფლავი, სადაც სახლი ჩამარხება. აღარც შუქი ჭირდება ამ სახლს და აღარც წყალი, აღარც გაზი და არც გათბობა. გადაჭრილია სახლის ფესვები და წასაქცევად გადახრილია უსულუ სახლი, სახლი, რომელიც ყველამ მიატოვა. სახლი მოკვდა, დააკვდა მინას და დამსკდარი კედლებიდან მოჟონავს წყალი - როგორც სისხლი, მკვდარი სისხლი და მე, რომელიც უნებლიე მოწმე ვარ სახლის სიკვდილისა, შეძრწუნებული გავრბივარ, რათა სახლთან ერთად არ დავიმარხო და გამვლელებს ვეუბნები: ჩემი სულის სახლი აფეთქდა.

\*\*\*

დედა, მომეფერე! ვერვინ მომეფერება შენსავით, ვერ დამიამებს სულის ჭრილობებს. სიხარულმა ზურგი მაქცია და ვიძირები დარდის წყვილში. ვინ მყავს შენზე უფრო ახლობელი, ვის მივადგე ჟამსა შეჭირვებისა? დედა, მომეფერე! ბედნიერი ვარ, რომ მყავხარ. დამატყვე დედა შენი ხელი, თავზე ხელი გადამისვი, დედა, როგორც პატარაობისას, ალერსიანი სიტყვები მეჩურჩულე!

ალერსს და სიტბოს დანატრებული მარტოსული შენს კალთაში თავჩარგული ვქვითინებ, დედა, ჩემს დარდს შენ გიმხელ და შემოგჩივი. დამამშვიდე, დედა! მითხარი, რომ კარგად ვიქნები. როგორც ქარისგან ყვავილებგაყრევინებული ხე, ჩემი სული დასერილია ჭრილობებით და მხოლოდ შენი შეხება განკურნავს, დედა! დედა, მომეფერე! შენ მომეცი სიცოცხლე და შეგთხოვ, ძალა მომეცი, რომ ცხოვრების აღმართს გავუძლო და ჩემი ლოდი აღმართზე ისე ავიტანო, აღარ დამიგორდეს.

\*\*\*

ბედო, ბედო, გამილიმე!  
 გულს ნუ დამწყვეტ, ნუ დამჩაგრავ!  
 გულზე ლოდი მანვეს მძიმე,  
 მაგრამ გული მიძგერს, მაგრამ...  
 რა იქნება, გადმოხედო,  
 ო, მფარველო ანგელოზო!  
 შეიცვალო ჩემო ხვედრო,  
 ერთხელ მაინც გამაოცო.  
 თვალზე ცრემლი არ მაშრება,  
 მაინც არ მოვიშლი ლოცვას.  
 ლოცვით მინდა ბედთან შებმა,  
 როცა დამამწუხრებს, როცა.  
 ღმერთო ჩემო, გვედრებო,  
 რა იქნება, გამახარო.  
 ჩაუნველადა, ნელა ვქრები,  
 ვით სანთელი, მნთქავს სამყარო.  
 ბედო, ბედო, გამილიმე  
 და ჩემკენაც შემობრუნდი,  
 გაანათე ჩემი მღვიმე...  
 ღმერთო, ამაშორე ცუდი!

\*\*\*

შავკაბიანი, თმაგაშლილი ქალები მოდიან  
 და მოაქვთ ნისლის ზენარი,  
 რათა გადამაფარონ.  
 მზე მწუხრისას რეკავს, როგორც ზარი  
 და ზანზარებს დედამინა და ყალყზე დგება,  
 როგორც ცხენი, რომელმაც სიკვდილი იყნოსა.  
 უნაგირზე მე ვარ დაკრული  
 და მოკლული მოვდივარ ბრძოლის ველიდან.  
 მოკლული მივუვალ დედას,  
 დედა კი გამარჯვებულს მელოდება  
 და ლოცულობდა ჩემთვის,  
 ლოცულობდა, რომ ცოცხალი და უვნებელი  
 დავბრუნებოდი.  
 შავკაბიანი, თმაგაშლილი ქალები მოდიან,  
 დედას სამძიმარს ეუბნებიან.  
 ნისლის სუდარა ფრიალებს ქარში,  
 როგორც თეთრი ბაირალი დანებებისას.  
 ო, დავნებდი! ო, ველარ ვიბრძვი!  
 დამთავრდა ჩემთვის ყველაფერი  
 და იწყება საიქიო ცხოვრება და სააქაოსთან  
 დამშვიდობება.  
 ჩემი სული ღრუბლების ფრთებით ცას მიაპობს  
 და ღამდება, სამუდამოდ ღამდება ჩემთვის  
 და უმზეო ქვეყნისაკენ მივემართები  
 და სამზეო მიყვარს ისე, როგორც არასდროს.

\*\*\*

მომიახლოვდი, გამოუთქმელო,  
 მინდა, გამოგთქვა და მოვისვენო.  
 თქვენც შემეწიეთ, დღენო უქმენო,  
 მომიახლოვდი, გამოუთქმელო!  
 ჩემ სულს განმსჭვალავ, როგორც წყალობა.  
 რა გლოვას ვუძლებ, ვუძლებ უცრემლოდ,  
 ვუნდობ, ვის გამოც სული წვალობდა.  
 მომიახლოვდი, გამოუთქმელო!  
 გადმოდი ჩემში, ამაყვავილე!  
 იმედო ჩემო ქედმოუხრელო,  
 თქმა ღირს, რაც გულში ლოცვად გავივლე.  
 მომიახლოვდი, გამოუთქმელო!  
 ჩემ ბედს და წერას გადახლართულო.  
 ძალა მომეცი დამამუქვრელო  
 მტერო ჩემო, რომ სულ ვიქართულო.  
 მომიახლოვდი, გამოუთქმელო  
 და ჩემი ხელი სწორად წარმართე!  
 დღესასწაულის დღენო უქმენო  
 ფრთები შემასხით არნივის მართვეს!

\*\*\*

დადონებული, გულდანყვეტილი, თავჩაქინდრული  
 მოგივალ, უფალო ჩემო  
 და დავემხობი შენი ხატის წინ,  
 როგორც საზეიმოდ მორთული სასახლე,  
 რომელიც ზეიმს ვერ მოესწრო  
 და უეცრად აფეთქდა და დაემხო.  
 რისთვის მრთავდი და რისთვის მკაზმავდი,  
 რისთვის მზრდიდი და მალამაზებდი,  
 რისთვის მინერგავდი იმედებს,  
 რომ ხელი არ მომეცარებოდა  
 და საქმეში გამარჯვებული მოგივიდოდი?  
 გამარჯვება და დამარცხება ძმები არიან,  
 როგორც სიცოცხლე და სიკვდილი.  
 მათ სულ ერთი ნაბიჯი ჰყოფთ,  
 რომლის გადადგმასაც მთელი სიცოცხლე ჭირდება.  
 მე ვერ გადავდი ნაბიჯი გამარჯვებისკენ,  
 უძრავი ვარ, როგორც საზეიმოდ მორთული სასახლე.  
 მიწამ ამოიოხრა და დავემხე  
 და არა მგონია, ძალა მეყოს ნანგრევებიდან ისევე აღვსდგე  
 და დამარცხებას მოვერიო.  
 თავჩაქინდრული მოგივალ, უფალო ჩემო  
 და მანუგეშე,  
 ნელში გამმართე,  
 როგორც ქარით გადამსხვრეული ხე!



### ლელა მეტრეველი

\*\*\*

შეხე, მზე უკვე ნამქერებს ალხობს,  
 შეხე, იღვიძებს მთელი ქვეყანა!  
 მიტოვებული ბავშვობის სახლო,  
 ეს გაზაფხული მოვა შენთანაც

და აივანზე სხივი დამდგარი  
 ათინათს მოჰფენს კიბის ხვეულებს,  
 შენ კი არ გახსნი კარს და ფანჯარას,  
 არც წითელ საბნებს გაამზეურებ...

\*\*\*

— მშვიდობით-თქო, — დაგიბარე,  
 მოვიწმინდე ჩუმად ცრემლი წყვილი...  
 დღეს კი... ნუთუ მომენატრე,  
 რომ შენმა ხმამ გამიტეხა ძილი.

ხმისგან შეგთხზავ, შეგქმნი, ოლონდ  
 უშენობა არ დაეგყოს სტრიქონს,  
 ყურმილს იქით — უკვე ის ხარ,  
 სწორედ ის ხარ, ვინც მე მინდა, იყო.

### სურათი ცაზე

ზანგის ქალივით განოლილა  
 ღრუბელი შავი  
 და თეთრ ღრუბელზე —  
 თეთრ ბალიშზე მიუდევს თავი.  
 ეს ნებვირობა გაგრძელდება  
 სულ ერთი წამი.

### მშვიდობით იყავ!

ჩემი და შენი სულის რხევები  
 თუ ერთმანეთთან რეზონანსში  
 ვერასდროს მოვლენ,  
 აბა, რას შეეცვლით? —  
 დასაწყისშივე  
 ღმერთმა  
 სხვადასხვა სიხშირეზე  
 დაგვაპროგრამა...

\*\*\*

სტალაგმიტებად გულის გულში  
 ამოზრდილ ტკივილს  
 თეთრი ლექსები  
 ეგებება სტალაქტიტებად.

\*\*\*

მჭირდებოდა და ვიყენებდი:  
 ზღარბის ეკლებს,  
 თუნდაც კუს ბაკანს,  
 ცხვრის ტყავს კი — ვერა.

### კვილ მოტივიზაჟა

თავი  
 ცრემლით გაჟღენთილი  
 ღრუბელი მგონია.  
 არც მზე ჩანს,  
 რომ გამაშროს,  
 არც ადამიანი —  
 რომ გამწუროს.  
 შენ რომ ახლა ცოცხალი იყო,  
 მოვიდოდი,  
 ყველაფერზე მოგიყვებოდი.  
 ჩვეულებისამებრ ჩუმად,  
 ღიმილით მომისმენდი.  
 რომ დავამთავრებდი, მეტყოდი:  
 "ჩემი საქმე გვიან,  
 მაგრამ კარგად გამოდის"  
 და შენს საქმეში ჩემს მონათხრობს  
 იგულისხმებდი.  
 მე წავიდოდი, ვინვალებდი  
 და ის საქმე მართლა გამოვიდოდა.  
 ახლა?!  
 საკუთარ ლექსს უნდა დავესესხო:  
 ახლა რომ ტირილი შემეძლოს...

\*\*\*

გულგრილობა გულს რომ კიდევ  
 კედლად შემოვუშენო,  
 შიგნით რაც დულს,  
 ვერ დავმაღავ:  
 ცუდადა ვარ უშენოდ...

\*\*\*

თითქოსდა თავი  
 განაცრისფრდა,  
 ფრენაც ისწავლა —  
 ცის კაბადონზე რაღაც ამგვარს  
 ხატავს ღრუბელი.

\*\*\*

ვინ იცის, იქნებ ჩვენზე მეტად  
 განსხვავდებიან  
 ეს გარეგნულად  
 ერთნაირი  
 ბრინჯის მარცვლები.

### განაფხული

ისევ აცივდა.  
 გააჟრჟოლა  
 ალუბლის ყვავილს,  
 ვაითუ აღარ მეღირსოსო  
 გააღებლენა.

### ნანილოპრივი მტკიცება

მალა აგტყორცნეს? —  
 გახსოვდეს, რომ  
 დამატება ხარ —  
 ფრენის სიმაღლეს  
 ქვემდებარე(ც) განაპირობებს.







ბესიკ ხარანაული

# უხამსი ლექსები

## ორი ხელოვანი

### სიბერისა

ვითამ რკინისა ხარ, ჩემო თავო,  
ვითამ წყლისა და ქვა-ლოდისა,  
სიბერე რომ მოგიკაკუნებდა,  
გაიცინებდი: — არ მამდისა-ო!

გაბრუნდებოდა-კე საცოდავი,  
შარაზე ჯოხის რაკუნითა,  
სხვის კარს მიადგებოდა მოკაული,  
დაურაკუნებდა რაკუნათი:

— აბა გამამხედეთაო,  
სარკეს ჩაგახედებთაო,  
ლოგინი გამიშალეთაო,  
ბალიში შააცერეთაო...

— რაკუნას ვინამ არაკუნებსო,  
კარ გაულოდეთ, მადლიაო!

— შამოდი, შე სულმატილიანო-ო,  
ბუხართან ნაბდისძველან აგიანო!

შაუშვებდნენ, შამღერდებოდა,  
შავ ბუხართან შაღერდებოდა,  
კაცი რო დაუბერდებოდათ,  
ე, მაშინ მათგონდებოდათ:

— სუყველა მაგან დაგვაბერაო,  
მელაა და გაიძვერაო,

ნესია მაგისტანათიო  
მუდმოზა ორის რამითაო:  
ფეხის დაბანა ღამითაო,  
ცუკანის დანაბანითაო,  
პირის დაბანა დილითაო  
ნაბადზე ნადებ ნამითაო.

დაგვყარა გაშტერებულიო,  
ჭკუა დაგვარგეთ ქებულიო,  
ქალისად გაქმერებულიო,  
ვინ ნახა დაბერებულიო?..

ნამოველ საყვედურითაო,  
ე კაცებისა შურითაო,

— აცა, დამმალეთ, ქალებო,  
სიბერემ ჩამაიარაო:  
— სადასა ჩემი ძმობილი,  
სახლში არ, კარში არაო?

— რწყილისა ვინა თქვა გალია-ო,  
ჩვენია, ჩვენში მალია-ო!

— დახსენით საყელოს ღილი,  
ენახო, რომენში დადისო,  
— ყველა ვართ ყელ-ლილიანნი,  
შენფერი ჩვენ ვერ დაგვთვლისო,  
ზოგნი თუ ოცი წლისა ვართ,  
სხვანი სამოცდაათისო!..

— თავ დაუნაყეთ ქვითაო  
ახედილ-ადრეკილთაო!..  
კაცების ჯიბრმა დამლია,  
ქალებო, რამე თქვითაო!

— აღარც ფეხთ აჩერებ, აღარც ხელთაო,  
აღარც ენა-ყბათ, სარეკელთაო,  
თვალთაც არ აჩერებ, საჭვრეტელთაო,  
ქალთზეთ კაბათ ამკრეფელთაო...

— აცა, ქალებო, თქვენთა ზნეთაო,  
კაცებს ნუ მამაკვლინებთაო!

პირჯვარი გადასწერეს ქალებმა,  
სრუ ასე გველოს მადლიანო-ო...

— შე უბე-კალთათ დამჩხრეკო-ო,  
ხმელის პირ-ყბითა დამჩხრეკო-ო,  
მთვარეო, მთვარის ნალეკო-ო,  
ქვეყანა მთვარეო-ო  
ფანჯრიდან რად არ გადმოხე,  
კარი რად აჭრიალეო-ო!..

### სიკვდილისა

რად არ რკინის იყავ, ჩემო თავო,  
რად არ კლდისა და ქვა-ლოდისა,  
სიკვდილი ცელს რომ შემოგკრავდა,  
წინწელი თავადვე დააბრმობდა.

ნამოვიდოდა დედისაკე,  
გადაუშვებოდა კალთაშია,  
დედა ლოპს გადააშორებდა,  
თვალეში გამოახედებდა...

— აი, ასეთსა და ასეთსაო,  
ხელ-მკლავით, ტანით ნაკვეთსაო,  
შუბლსა ნაფიქრსა, ნაცდომსაო,  
ცხვირსა გაღმით გამწვდოსაო,  
კაცს ვინმეს, ნებაზე მჯდომარესო,  
ჩიტის ნიაზე მკრთომარესო,  
ცელი შემოვკარი ავთვალადო,  
წინწელმა თვალეში დამთხარაო.

— აი, ეგეთსა და ეგეთსაო,  
სულ ღმერთის მოიმედესაო,  
წინ რომ სამკალი ეთესაო,  
ჩიტებმა გაუკენკესაო,  
მერე მოვიდნენ ქორები,  
ჩიტები დააფეთესაო,  
შორით მოყარეს ღრუბლები,  
სამკალზე დაანეთესაო,  
თავი ხორბალი გადარწყო,  
თქვა გულში, “მადლი ღმერთსაო!”  
ე მაშინ მიუხედილოდი,  
შამაუქნევი ცელსაო,  
შუბლზე რომ ჰქონდა ნიშანი,  
ართუ სთქვი, რაა ესაო:  
“ამის მამკლავსა სიკვდილსა  
თვალეში დაუბრმედესაო”.

არ დაუჯერე დედასაო,  
ნუ მაჰკლავ დედისერთასაო,  
მაგის სიტყვაზე ქალები  
ტუჩებს უწყებენ კვენტასაო,  
თვითონაც ცოცხლად მკვდარია,  
მიდის და სისხლად წვეთავსაო,  
მაგრამ ლექსობას არ იშლის,  
არც როდის აიკვეთავსაო:

“ეს სიყვარული რა არის,  
მადლი არ დაეთვლებო,  
არც წყალი რასმეს დააკლებს,  
არც ცეცხლით დაიწვებო,  
ჩვენი ქება და ძაგება  
ისავე ჩვენთვისა შვებო,  
თორემ იმას არც აკლდება,  
არც რამე ემატებო.

ერთი ეგ არის ამქვეყნად,  
მეორე კიდევ დედაო,  
წასული სააქაოდან  
იმ ქვეყნად მელოდებო,  
მაგრამ უნიშნოდ ვაჟკაცი  
გზას როგორ დაადგებო,  
ისევე ცელის პირს ალესავს,  
ბალახი აეგებო,  
ხანდახან გაიყურება,  
ხმა რამე მოესმებო...”

— ნუ ჰკვდები, ხარანაულო,  
ერთა ხარ, არვინ გრჩებო,  
შენი ნაჭერი კალამი  
არავის შაუხდებო,  
დედა ბარბარეს შვილი ხარ,  
რად ეგრე გავიწყდებო,  
შენი სიკვდილი რო უთხრან,  
გულ-ღვიძლი ჩაენებო,  
შავეთში ერთი წყალია,  
იმ წყალში დაირჩვებო...

თუ იყავ, რად აღარ ხარ, ჩემო თავო,  
ცოტაც გელექსა, გელოთაო,  
რამდენი ლალია შენ დროთაო,  
გეყურა ღრუბელთა ჩეროთაო,  
ჩიტთა, ყვავთა და წეროთაო,  
ვინც გინდა ყოფილიყავი,  
სახელიც სხვა გრქმეოდაო...

თუ იყავ, რად აღარ ხარ, ჩემო თავო,  
თუ იყავ, რად აღარ ხარ, ჩემო თავო...

## ნამდვილი ამბავი ყ-არამანსა (ტრიპტიქი)

სანამ კიდევ ჭკუაზე ვარ, სანამ კიდევ მიდგას ჯანი,  
გადავწყვიტე, რომ დღეიდან ყ.-ს შევარქვა ყ-არამანი.  
თუმც სახელი ძველი არის, დიდხნის ვადაგასულია,  
მაგრამ აზრი ქართულია, მაგრამ ცნება ქართულია,  
ყველა კედელზე წერია, ყველას პირზე აკერია,  
სულ კვირობენ, ვინაც გვხედავს: — ესე ერი რა ერია?  
ხუმრობენ და ლლიცინობენ, ჭკვიანი არ გაერიათ?

აქ სიბრაზე მომერევა: — ესე ერი ჯაყვერია!  
(*წააჰმერი — ცუდად დაკოდილი მოზვერი, რომელსაც  
სქესობრივი უნარი დაკარგული აქვს, მოთხოვნილება კი —  
არა*).

1  
ყარამანს ისეთი ყ-არამანი ჰქონდა,  
რომ წვიმიან ამინდებში ქირაობდნენ პანაშვიდებზე,  
რომ ხალხს ზედ ქოლგები და საწვიმრები დაეკიდა,  
როგორც ქანდარახე.  
სხვა სიკეთეც იყო: ცხედრის შემოვლისას  
ხალხს მჭმუნვარე სახეები უნათდებოდა,  
გასვლისას კი ბრაზი იპყრობდა...

ნამდვილია ეს ამბავი, განა მოგონილი.

2  
როგორც კი დილამ სიცოცხლის ბეჭედი დაარტყა  
ყ-არამანს,  
ადგა, გაიმართა: ყამირი და ნასვენი მინა უნდა მოეხნა.

3  
ძიბა-ძიბა, დაუფიქრე ყ-არამანს ქალებსა,  
არ სჯეროდნენ ყურებსა და არ სჯეროდნენ თვალებსა,  
გამორბოდნენ ფართხაფურთხით,  
არ ზოგავდნენ ძალებსა,  
ეს ბებერი რაღას მორბის, რაღას მოხანხალებსა?  
თუმცა ხმელი ფოთლის ნეშო უფრო იკრებს ალებსა,  
მაგრამ ყველამ გამოასწრო, ბებერს არ აცალესა:  
მე როგორ გავაკანტროლებ ავარდნილ წყლის ღვარებსა!

იდგა ბებო განანყენი, იფსელებდა თვალებსა.

## ცაცხლიც — შუაშია, წყალიც — შუაშია, კაცი კი — ნაპირზე

თავშიც უხამსია ადამიანი და  
ბოლოშიც უხამსია  
და მხოლოდ შუაში ედება ბრალი.

ყოველი სიტყვა, — დანერილი, — არის მოკლება  
წყვიდადისა.

რაკი ადამიანებისთვის ყველაფერი შესაძლებელია,  
ხელოვნება უნდა იყოს შეუძლებელი.  
ცუილისოდენი სულილა უდგათ ადამიანებს,  
პოეზიისთვის ერთი გასაქცევი დარჩა:  
ფრაგმენტულობა.

უხამსია გული, უხამსია ტვინი, და, მხოლოდ სიტყვას  
ბრალდება უხამსობა.

ეს არის მინდვრის ისტორია: თუ მინა ნაწერია ღორების  
ნაწიქართო, ნათხაროც იქნება.  
ეს არის კაცის ისტორია: თუ ქალს ძახილის ნიშანივით  
ფეხები აქვს, ვერ გაანევენებ.





**ზენა და ქენა**

ის იყო წმინდა, ზენა ქალი. გაუქმებული ჰქონდა ქენა ორგანო. ამიტომაც ქენა იძულებული გახდა ზენათ აენაცვლა: აინია, აინია და ტვინში შეიჭრა და ზენა ქენათი შეექნა სავსე. ზედა თმაც ამიტომ ქენას დაემსგავსა, აიშალა, აიბურღლა, დარბეული ქვედა თმასავით, და ვედარ ილაგებს. დადის განწილი, აშლილი, ნერვიული: ძნელია, ოდეს ქენა — ზენად მოიქცევა.

**ი.კ.გ.**

ი.კ.გ. — ირონიული კეთილ-განწყობა: მაგრამ თვითონ ადამიანი უფრო უხამსია, ვიდრე მისი სიტყვა. სიტყვა ინმინდება წარმოთქმის გზაზე, ადამიანი კი ბრუნავს თავის ფუყეში.

ი.კ.გ.: რადგან ყველაფერი თავით თვისით ძალზე პატარაა და ერთ საგანშია, არაფერი პატიობს მას, ირონიის გარდა. ღმერთიც, რა თქმა უნდა, ირონიულია. მართო ადამიანებს აინტიერესებთ — თვითონ — ტრაგედია.

**ქალი აწვევობდა**

რამდენიც შეეძლო თავს იცავდა, ქალი აწვევობდა ტელეფონით, თავისას ცდილობდა, მოვალ, რა, ამ ერთხელ გნახავ, სხვა არაფერი და წავალ, მოვალ, რა... და გამოჰყვა ტელეფონში ხმას და თავში შეუვიდა და დანებდა ისიც.

მოვა და ნახავს:

ლურჯ ზოლებიან, ფართოსაყელოებიან, კაპიშონიან, იატაკამდე დანვდენილ ხალათში გახვეულ ნითელთავიან ფანქარს: კარს რომ მიმედ უღებს.

**მართო იყოს უნდა კაცი და უხაროდეს...**

არც რომ ნელა მიდიოდეს, არც რომ ჩქარობდეს, მართო უნდა იყოს კაცი და უხაროდეს. არც არავის არ უყვარდეს, არც თვით ჰყვარობდეს, მართო იყოს უნდა კაცი და უხაროდეს. როგორც ჩიტი იყოს ხეზე, მართოდ გალობდეს, მართო იყოს უნდა კაცი და უხაროდეს. ვინც ასშია და ვინც ხარობს, ღმერთი სწყალობდეს, მართო იყოს უნდა კაცი და უხაროდეს. რა გრძნობაა, თუ ვიცოდე, დავისაჯოდე, მართო იყოს უნდა კაცი და უხაროდეს. ღმერთი მართოს არ გასწირავს, არც არაოდეს, მართო იყოს უნდა კაცი და უხაროდეს...

**რალაცა მიჰქრის**

რალაცა მიჰქრის, ამის დედა ვატირე.

პირველივე გეტყვის — დროაო!

მაგრამ არ გჯერა.

— რალაცა მიჰქრის!  
უპასუხო რომ იყოს — გინდა.

სიცოცხლე იმიტომაც კარგი, რომ დიდხანს იყო, სვა არაყი და თამბაქო ნიო.

ადამიანს ყველაფერი შეესაბამება, იმიტომ, რომ რეალური არაფერი არ არის...

რეალური არს მხოლოდ პური, ადამიანი ქვას ხელს მხოლოდ პურისთვის უშვებს.

რეალური არის მხოლოდ ქვა, რომელიც ადამიანს სიტყვად აქვს მომუჭული.

მთელი სამყარო ადამიანს ქვას თავში უმიზნებს, რომელიც მუჭში აქვს.

სჩანს, დაუმთავრებელი სახე არის ადამიანი.

მთელი სამყარო თვალეში ეტენება.

მაგრამ არის კიდევ ერთი: რომელშიც სიტყბოა და ქვა კი არ არის და რომელიც ეტყევა მუჭში, რომლისთვისაც უთვალავჯერ მომკვდარა კაცი.

ხოლო ცოცხალი უკან უბრუნებს სამყაროს მის ნასროლ ქვასაც და მის ნათქვამ სიტყვასაც...

— აღარც შენი სიყვარული მინდა, აღარც შენი ბოქვენის მოჭერა.

ნუთუ ვეტყვი სიცოცხლის ერთ პატარა თეფშზე? ნუთუ ვეტყვი სიცოცხლის ერთ პატარა დროში?

უპასუხო რომ იყოს — მინდა!

პოეტო, გრცხვენია შენი თავის, სიტყვებს რომ არჩევ?

**ყშილი**

სულ ორად-ორჯერ ვცმუოდი ბედნიერი. ვიჯექი სოფლის თავზე, მთვარისქვეშ და ვცმუოდი. აუუუ... — მხოლოდ ხმოვნებით გამოიხატებოდა ჩემი სიხარული, თანხმოვნებზე არ ბორძიკობდა. როგორ მინდა მესამედაც ასეთი განცდა, რომ თქვან, სოფლის თავიდან ყმუილი ისმოდაო, რომ წავიდნენ მონადირეები, მაგრამ ვერ მპოვონ, დამიგონ მახეები და ვერ გამაბან.

**კაცი ისე ცნობისმოყვარაა, რომ სიზარაც კი შეიტყუას**

ხანდახან, ადამიანები წვიმას ერთად თავს აფარებენ და ახლობლებით ხდებიან. მაგრამ წვიმა გადაიღებს და დაიფანტებიან. ისე მარტოა კაცი, რომ საკუთარი ჭკუაც კი არ ყოფნის. დასაკლავი ხარისხით სანთელი აქვს დაკრული, სხვას კი წიგნი გადაუშლია და ღმერთს იმის ბედს ეხვეწება. არ იცის, რომ სხვის ბედს ეჭიდება და არ იცის დასცემს თუ არა. ლოცულობს, სხვის ბედს რომ გული მოუღობს და არ იცის, ეყოფა სინდფელე?

სიზმრები რომ არა, ჩვენ ვიქნებოდით გაბმულ სინამდვილეში. იქნებოდა ხელოვნება შესაძლებელი, რომელიც სინამდვილეს მხოლოდ ისტორიულად ემთხვევა?

**თამაში...**

როგორ იოლდებიან ადამიანები თამაშში: ბავშვდებიან. ბავშვები — ჩიტ-ყვავილდებიან, ჩიტ-ყვავილები — ცვარ-ნამდებიან და მიმოდინ ცას და მიწას შორის — ადამიანები. განუწყვეტილ, ოფლშეუშრობლად.

**შეშტყევალოვა**

შემოქმედება არის სევდა ცხოვრებაზე და ცხოვრება არის სევდა შემოქმედებაზე. ნახვედი თავის მოსაკლავად და ბრუნდები მხიარული.

**ლოცვა**

— რატომ არა მკლავ, ღმერთო?  
— დედამიწას არაფერი ამშვენებს ჯვარივით!

**პოეზია და... ლექსი**

უნდა მიჰყვე პოეზიას — სრულად და, ლექსს — რამდენადმე.

**ადამიანი ჩალის კოშკია**

1 აბა ვნახოთ, დავლურს ვინ უვლის იმის კედლებთან.

მჭირდება ჯოხი, რომ საგანნი ზოგნი მოვჩხრიკო: — იქნებ უძიროა! არა მჭირდება ყურზე ხელი მოვიძაბრო, რომ რამე ჩამესმას. ტყუილად როდი დამჭრა ღმერთმა და დამამახინჯა, ტყუილად როდი მომცა ამხელა ყურები, — საქალმის ხელა. რომ განურჩევლად და განუკითხავად, სადაც ჰაერია, ყველგან ჩამესმოდეს. გუბეს როგორც ესევიან მწყურვალე ჩიტები... ხოლო ამ სმენისგან მე თვალეები დამრჩა დაჭყეტილი.

კაცი ეძებს თავს ადამიანების ჩამონათვალში, განა თავის თავში.

კაცი ეძებს პოეზიას განა ჰაერში, თავის თავში... რისგანაც ყურები დაუპატარავდა და შეექნა ლოკოკინას ნიჟარისსხელა, შიგ ჩასვრემილ საკუთარ თავით.

**2**

თავის რომ ვინმე გამიტოლებს, არ შემიძლია. ყველაფერი შემიძლია, გინდა მოვკვდები ყველასთვის ცალ-ცალკე, მაგრამ არ მიყვარს თავის გატოლება... რატომაც მჭირს ასეთი რამ, ვერ გამიგია.

მომხდარა, რომ სხვის გასაჭირს ზურგი ვაქციე, მაგრამ გავექციე სხვის მადლობასაც.

მიტირია, რომ არა ვარ ამათი მსგავსი, როცა გავრბოდი, მრავლობითისგან გავრბოდი ხოლმე, მადლობა კი მაპატარავებდა.

თავის გატოლებისთვის არ მცალია, არ მცალია, რომ გამოვიცვალო.

ამაზედ ვტირი.

ყველაფერს აქვს ფორმა. ჩემი ყველაფერი ჰაერით გავრცობილია.

არავინ იცის, სავსე არის თუ ნაკლებია, საიდან სად მიმართულია... ყველაფერი გამეტებული აქვს, ყველაფერი უნდა, აქ დატოვოს, არც ერთი საიდუმლო არ უნდა წაიღოს, რადგან მიწაზე ცოდვები თუ არ დატოვა კაცმა, რა უნდა დატოვოს.

მაგრამ არ მიყვარს თავის გატოლება.

**3**

პოეტი თუ ჭეშმარიტებისკენ გადაიხარა, იმის საქმე დაკარგულია. პოეტი კიდევს შორის უნდა დაძროდეს. — ის ხომ ქანქარაა.

**ნაშლეპი**

ჩემი თავი — უზმოზე, ჩემი ტანი — უზმოზე, ჩემი სხეული... უზმოზე — ხელები, უზმოზე — ფეხები, უზმოზე — ცხადი...

უზმოზე — წამოდგომა, გახედვ-გამოხედვა, როგორც ქვას ჩახედო და ნახო — კიდევ? კიდევ ფანჯარა? კიდევ კედლები? მზე კი აღარ გახსოვს... გარეთ მზე კიდევ?

**ბალახს ის ახსოვს, ვინც გადათელა**

— აბა, ჩემო თავო!.. მკვლელი, მოლაღატევე, მტკიცედ გაადგი ფეხი: ხალხს ჯალათი მონატრებია.

უყურე ბალახს: ის ახსოვს, ვინც გადათელა, ის კი არა, ვინც აუარა.

**მხიარული და ლალი ვიყავი...**

ისეთი ხალისიანი მივდიოდი და მივანგრევედი ფართო ქუჩას და მცირენივ მეგებებოდნენ შიკრიკებივით, ისეთი მხიარული და ლალი ვიყავი, რომ ღრუბლებმა დაინყეს ცაზე მოგროვება. დაუბერა ქარმა. ჯერ აწენა ხეები და მერე ქუჩები, მერე, თითქოს, — იცოტავაო, ატყდა ქარიშხალი და წყლის ღვარით ცა და მიწა ერთხორც შეიქნა. ოთხფეხებმა აჯობეს ორფეხს, გასცურეს მდინარედ ქვეული ქუჩები... ადამიანი დარჩა ქალაქში, თითქოს მინდორში, უმწეო და გზადაკარგული.

**რაჟო**

ქუჩის მოსახვევში ვილაცამ ვილაცას ხელი აუწია... რაფო გამახსენდა ხელის აწევაზე. მომეჩვენა... კი არ მომეჩვენა, არც წარმომესახა, არც ვიგრძენი, არც დავინახე: თეთრი ზენარი იყო გადაფარებული მიწის ზედაპირზე და ქვეშ კორძები იშმუშნებოდნენ.

არავინ იცის, საიქიოს ცაზე საით გაუხვევენ სულელები. ნათესავებისკენ თვალეები დარჩებათ და სხვაგან ნავლენ?

მრავალნი გახეთქა მრავალ ქვევრით მხოლოდ თავის თავმა.

ხალხი წავიდა. იმდენიც კი აღარ არიან, რომ შეგხვდნენ და სალამი გითხრან. ასანთის ნამწვის კაცუნები ვართ.



**ბოდის ბიძი, საპარტოლო...**

ნეტავი, თუ გათენდება ერთხელ დილა ისეთი, რომე ბედს არ შევლადლო უდიერ ხმით, მქისეთი: რატომ, ბედო? რისთვის, ბედო? რა მაქვს დანაშაული? ნუთუ ის, რომ ქართველი ვარ, გვარად ხარანაული, რომ ტანთაც ვერ ჩამიცვია, განვდილი მაქვს ხელები, რომ ამ მიწას, სადაც ვდგავარ, ვერაფერს ვეშველები... ბოდის ბიძი, საქართველოვ, დრო არის დაჩივლების: რომ შენ შეილად მიმლე და მე კი ვერრა გიშველე.

**გოგოს ფენი აუცურდა სისხლის ნატალახევი**

ჯერ იყო დიდი ჩოჩქოლი, წყლისა პირსა, გზისა პირსა. განევა და გამოწევა, წყლისა პირსა, გზისა პირსა. ციდან თოვლი მოდიოდა, წყლისა პირსა, გზისა პირსა. თოვლში წვიმა ერეოდა, წყლისა პირსა, გზისა პირსა, ამბავი არ თავდებოდა, წყლისა პირსა, გზისა პირსა, მთვარე ცაზე დადიოდა, წყლისა პირსა, გზისა პირსა, თოვლში სისხლი ერეოდა, წყლისა პირსა, გზისა პირსა, დილა ნისლში თენდებოდა, წყლისა პირსა, გზისა პირსა, ცხენები გამოარბინეს, წყლისა პირსა, გზისა პირსა, თოვლს ტალახი აერია, წყლისა პირსა, გზისა პირსა, გოგო გარეთ გამოაგდეს, წყლისა პირსა, გზისა პირსა, წყალი მოგვიტანეო და, წყლისა პირსა, გზისა პირსა, გოგოს ფენი აუცურდა, წყლისა პირსა, გზისა პირსა, სისხლის ნატალახევი, წყლისა პირსა, გზისა პირსა.

**ვიყიდავი მაც:**

**1**  
ყველაფერი იყიდება, ვიყიდები მეც, მყიდულობ თუ არ მყიდულობ, მოდი, ხმა გამეც...

ვიყიდები ფესვიანად, ვიყიდები წესიანად, რაცა მაქვს და, რაც არა მაქვს, ცაში დანათესიანად, ვიყიდები ტანიანად, ეშმაკ და სატანიანად, რაც მაკადრეს იმიანად და რაც არ მაკადრიანად, ჩემი გალაღებიანად, ჩემი ბალახებიანად, ხე-მხვიარად, სვე-სვიანად, ფიქრიანად, ლექსიანად...

**2**  
აგხედ-ჩაგხედავ ჩემ თავ-ტანს, თვალს ავაყოლებ, ნეტა რა ფასს დაადებენ ამ ჩემს საქონელს, სხვისთვის შეიძლება სხვაა, მე კი მალონებს, თავ-ფეხიანად ტკბილი ვარ, ეს ჩამაგონეს.

ერთი მანყევარი ქალიც არ გამერია, ჩემს ნავალზე ბალახიც კი მადლიერია...

**3**  
ამიტომაც ვიყიდები, თავიანად, ტანიანად, ჩემი ცხენ-მათრახიანად და იმის ნალბანდიანად...

თუ მეცხვარეს ცხვარი არ ჰყავს, ჯოხი რად უნდა, თუ კაცს თავისი არა აქვს, სხვისი რად უნდა, ქარი მოქრის, ფურცლებს მაცლის, ერთი-მეორეს, ეზიდება ჩემი სახის იერს იერზე, მიაქვს შორად ჩემი სუნი, სუნი ვერაგი, ჰაერივით ყველგანაა ჩემი პერანგი, ქალებს გარეთ თუ გაუშვებთ, — გაუბერავდით...



**4**  
ქონების დეკლარაცია? მოვგლიჯე ბალახი და ის ავუშვირე. რადგან ქარიან ბორცვზე ვიდექ სრულიად შიშველი და ფოთოლდაცვნილი ჯაგები ვერ მიფარავდა და გზაზე კი მიმოქროდნენ საამინდოდ გამოსული მგზავრ-მანქანები, მე კი არ მინდოდა, რომ ეხილათ ჩემი კედლის ჩამოცვენილი ნატეხები. — ადამიანობას რა ვუთხარი! ნამცეცხე რომ არ წავბორძიკებულებიყავი, ყველაფერი შემეძლებოდა!.. ჩამოვკარი ქნარს ჯაგებისა — ასკილისა, კუნელისა, მაყვლებისა... სამპირად ჯარი უნდა გეყენოთ ჩემს შესანახად, რა მე და რა თქვენ, უფიცი უფიცს ეკითხება და პასუხით კმაყოფილია, ნიჭი კი, კვლავაც, როგორც ცალად იბადება, ცალადვე კვდება.

**5**  
ჩემი მზერა შორი გახდა გზაზე რებისთვის, ჩემი ნერწყვი მძიმე გახდა გადანერწყვისთვის, ჩემი ცრემლი მეტრალემა მოცილებისთვის.

**6**  
რისთვის უნდა ნეტა ადამიანს ამდენი ტვირთი, არა სჯობია, ცარიელი თვლებით იაროს, რომ ყველაფერი, რასაც ნახავს, ახალი იყოს; ის ხომ არც დამნაშავე დაიბადა და არც მართალი, მამ რატომღა ილტვის ორივესკენ?

**გაზაფხულ სომ დავკარგე, მიქნება კი ზაფხული?**

რასაც ზეცას სულს ვუგზავნი, ისიც იმას მასხურებს, გაზაფხული ხომ დავკარგე, ახლა ვფიქრობ ზაფხულზე... გახსოვთ ჩვენი მთა და ველი, ათასფრად დაქარგული, გაზაფხული აღარა აქვს, ექნება კი ზაფხული? რაც რომ ნისქეილს დაეყარე, ის შემექნა დაფქული, გაზაფხული ხომ დავკარგე, მექნება კი ზაფხული? გახსოვთ, დედა რომე მყავდა, საროსებრ ტანასხმული, ახლა, ვხედავ დაძინილია, ვით ყანაში საფრთხული, ნაგინები, ნატომარი, დატუქსვილ-გათათხული... გახსოვთ ორ ზღვას შუა ვეფხვი, ყოველგან გზა განხმული, ახლა ფლასად დაგებულნი, გაზაფხული, ზაფხული... ამ დროს შაშვი სიხარულით სტვენდა ლამებართხმული, წესი იყო: ზამთრის მერე, გაზაფხული, ზაფხული...

**და მომავალი ხომ ხა-ხა-ხა-ხა-ხა...**

თუ — ცხოვრობ — კაცი — დედამინაზე, და, მითუმეტეს — მთა-და-ველოში, რა თქმა უნდა — გაუჩინარდები.

რადგან, რასაც ანმყო არა აქვს, მომავალი როგორ ექნება!

მე სულელს კი — სირცხვილით ვერ გამიმხელია — მქონდა მოლოდინი ხან ერთისა და ხან მეორის და გავწბილდი ამიტომაც და ავიბარე: — მივიქექე წარსულად.

ჩემი ამბავი მოკლე არის, — უფრო მეტად ვერ შემოკლდა — და მართალი, როგორც საფლავის ქვაზე წარწერა,

რადგან სასაფლაო ყველაზე კარგი ადგილია ჩემს ნასაკითხად — ქრისტეს აღდგომის მეორე კვირაში...

და-მკითხველო, ცხვარივით რომ დამჩერებხარ, გალელეჩებული, ამომიკითხე:

მე ვარ წარსული! ვერანაირი ანმყო ვერ მიპოვნის და მომავალი ხომ ხა-ხა-ხა-ხა-ხა...

**მოსუცი ხელი**

ხელი, რომელიც არსად არ მიძვრება, რაღა ხელია! რომელიც საკუთარ თავს ემსახურება, ნაზია, ნელია...

კალთაზე იდებენ, მაჯას უსინჯავენ, რა, მკვდარი მტრედია? ამბობენ ქალები:



ხელი, რომელიც ქალში არ მიძვრება, რაღა ხელია!

ამიტომაც, რომ ლამის საკუთარი ტრიკოდან ამოხტნენ უკმაყოფილონი.

შეუძვრინე ხელი, ჰქენ სისულელე. სულელს ენდობიან, ხელიც სულელია, ნაზი და ნელი მხოლოდ სულგრძელია, ვერ ხელი წაილე, მერე გახდი სანდო: — ხათრიანი ქალი ათ ქალადა ღირს, ხათრიანი კაცი კი ერთ ქალამანადო...

ხელი, რომელიც არსად არ მიძვრება, რაღა ხელია-ყე, სოროში მიძვრება ბებერი მელია-კი.

**ენჯეო-სიგრილა**

ენჯეო-სიგრილე: იმიტომ, რომ ადამიანი ფუჭებადი საქონელია, გრილ-სიცვიემ უნდა შეინახოს. კი სხედან, მართალია, ჩაკეცილი ფაილებივით, მაგრამ ხომ არის ცოტად მაინც გადილ-გამოდილი, თვალშეუყრელად მზვერვა ერთმანეთის, გამოყრა ფლუიდეების სხვადასხვა ჯირკვლებიდან — ენჯეო ო-რგ-აზისში... ამბობენ კი: — ემოციებს უნდა მოვუტყდეთ!

**შურმა შემინახა**

შურმა შემინახა მე, ჯიბრმა შემინახა, სიძულვილმა ტანი ამიგო.

შორიდან ვუყურებთ მე და დრო ერთმანეთს, მოგვწონს ერთმანეთი...

ასე შემინახა შურმა, ჯიბრმა შემინახა, სიძულვილმა მომავალს დამითმო.

**ჰაირი, პური, ნამცეცხები...**

რალას არ იგონებენ, რომ ცხოვრებისგან არ დაისვარონ. რომ გვერდი აუარონ კომპონენტებს, რომლებისგანაც შედგება ფორმა და შინაარსიც ცხოვრებისა არ იტაცებთ, ცდიან თავს და სახლს გაურბიან და ჩემთან მოდიან, რომ ჩამოსხდნენ ძველ, ჩამქრალ კოცონთან და ისხდნენ უსაფრთხოდ.

სჩანს, რომ კარგი დროა ჩემს ასაკში, სამოცდაათში, სჩანს, რომ მზეზე გამთბარ წყალივითაა. ნუთები, ადრე გარეთ რომ ვისროდი, თურმე მიწყვეტია ჩემსავე ხეზე. ახლა ერქმევათ მათ სახელები, ახლა, როც ყველაფერი, ყველა ნუთი ჩემამდე ახლოა, შორიდან არ უნდა მოხმობა.

საკვირველია, რატომ მიდიან შორს იმისთვის, რაც ცხვირწინა აქვთ, რაც მათია, იმას რად ეძებენ? მეც, საკვირველია, რად ვიტყუებ თავს, რომ, თითქოს ჩვევები მინდა შევიცვალო. ბევრმა მათგანმა უკვე კვალი დამაჩნია, ბევრი ჩვევა კი უანგივითაა მჭამს, ზოგი დღისაა, ზოგი ღამის, მაგრამ ყველაზე ძნელი არის, როცა მზე ჩადის.

მე კი პურის ნამცეცხებისკენ გამიბრის თვალი. მინდა, რასაც ვწერ, ასევე ჰქონდეს ნამცეცხები, რის გამოც ბელურებს უთუოდ ვეყვარები და ჰაერი ჩემს გარშემო სულ იშრიალებს.

**დილოგი**

უთხრა რვა-ათი წლისამ თოთხმეტ-თხუთმეტი წლისას: — რაც მე მოვავროვე, შენ დაგეფანტება! თოთხმეტ-თხუთმეტისამ უპასუხა: — მოვა დრო და კვლავაც მოვავროვებ. რვა-ათი წლისას გაეცინა: — ჩემს ფეხებს მოავროვებ!

**მანანალა ძალის პალადა**

(გუძღვნი ჯიშინ ძალღებს)

მანანალა ეს ძალი ახლა და ცხოვრობს, როგორც ძალის წესია-ნაგვის ბუნკერში დაეძვება სახრავს და უმიზეზოდ ქვასაც ესვრიან.

მანანალა ეს ძალი ახლა, თუმც ცრემლიანი თვალები ამხელს, რომ ვერ მოერგო ცხოვრებას ახალს და გამვლელებსაც არიდებს სახეს.

მანანალა ეს ძალი ახლა, ქარი და წვიმა უბურღავს კეფას, ოცნება გახრულ ძვალივით მარხა და სწავლობს ქუჩურ ღრენას და ყეფას.

მანანალა ეს ძალი ახლა, აღერსით არვინ ეძახის სახელს, ღირსების ზღვარი ვერ გადალახა, თუმცა შიმშილი სულ უგებს მახეს.

გაირინდება სულ ერთი წამით ჯიშის ძახილი თუ მიაყურა, ის დანანალებს წვიმიან ღამით-იშვილა დედინაცვალმა ქუჩამ.

მანანალა ეს ძალი ახლა, დაედევნება ნაცრისფერ პალტოს, ხელში შერჩება უფულო ახვარს, ასე რომ ჰგავდა გარდაცვლილ პატრონს...

მანანალა ეს ძალი ახლა-ცხოვრობს ძალღურად, როგორც წესია: ნაგვის ბუნკერში დაეძვება სახრავს და უმიზეზოდ ქვასაც ესვრიან.

**ორი ტრიოლეტი**

**1. დღე**

ნაზია დილა ვარდისფერი, მტრედისფეხება, ცის კაბადონზე მოაგორებს ღრუბელს აისი, ცრემლებად აქცევს მზის თამამი ხელის შეხება, ნაზია დილა ვარდისფერი, მტრედისფეხება, შეახო ფუნჯი და სამყარო მწვანედ შეღება, აყვავდა ნისლი, როგორც თეთრი ედელვაისი, ნაზია დილა ვარდისფერი, მტრედისფეხება, ცის კაბადონზე მოაგორებს ღრუბელს აისი.

**2. ღამე**

გრძელია ღამე ვნებიანი, როგორც ბოლერო, ელვარებს მთვარის თეთრი ოლარი, აისის სხივი მთვარეს დაჭრის, როგორც ტორერო, გრძელია ღამე ვნებიანი, როგორც ბოლერო, წყალზე ტივტივებს ლოტოსივით თეთრი ბორანი, მისდევს ფეხდაფეხ სევდიანი ქარის ქორალი... გრძელია ღამე ვნებიანი, როგორც ბოლერო, ელვარებს მთვარის თეთრი ოლარი.

**გოდარქი ჩოხელი**

„ზურგით თითქოს საკუთარი გვამი დამაქვს“, — მითხრა ქუჩაში შემთხვევით შეხვედრილმა გოდერძიმ.

ზურგით თითქოს საკუთარი გვამი დამაქვს, დაო, და არ ვიცი ვილოცო თუ სატანას ვედაო, ბედისწერამ გამიმეტა, გამითამამდაო, აღარც ხევისბერი ვარ და აღარც თამადაო. სამოთხის ჩიტი გაფრინდა, ცაში ავარდაო, აღარც ჯანმრთელად არა ვარ, აღარც ავადაო, დრომ დამსუსხა, ჭინჭარი არ გამიხავერდაო... ისე, შენი დანახვა კი გამიხარდა, დაო...

**შამოდგომის ხალი**

შემოდგომის ბილიკზე ხომ არ დამემგზავრებით? გავალვიძოთ დილის მზე ბრონეულის ზარებით. აყლაყუდა ალკების აღერსს ვერ გაუძელი, ხეზე აცოცებული გადმოყურებს ყურძენი.



**შარლოტა კვანტლიანი**

ვინც მოხვდება ამ ბაღში სურვილს ვერ დაიოკებს, ტუჩზე თაფლი აცხიხათ მნიფე კარალიოკებს. მთვარეც გამობრძანდება თავის ოქროს ქოშებით, ხეზე კონიალობენ მთვარისხელა კომშები, გავალვიძოთ დილის მზე ბრონეულის ზარებით, შემოდგომის ბილიკზე ხომ არ დამემგზავრებით?!

**ჟაკლინი**

თბილისში, პიკასოს ნახატების გამოფენაზე, მხატვრის მეუღლის, ჟაკლინის უამრავი პორტრეტი იყო გამოფენილი.

კედლები საცხეა ჟაკლინით: ჟაკლინი ქუდით და ჟაკლინი უქუდოდ, ჟაკლინი ცალთვალა და სამი ქუთუთო, ჟაკლინი ყვავილებით, ჟაკლინი ფრეგატივით, ჟაკლინი აბსტრაქტული, ჟაკლინი ნეგატივი... ამ კედლებს ახლახან ათბობდა ფიროსმანი, სად პიკოს კუბიკები!.. სად ნიკოს მიმოსმანი!.. ამდენ ჟაკლინების აღლუმს, მაგალითად, ვითომ, არ ჯობია ერთი მარგარიტა?!

**ღვთისმშობლისადმი**

(პიეტა)

ყველაზე ბედნიერი და ყველაზე უბედური ხარ: კალთაში გინევს ნამებული შვილის სხეული, ცა იცრემლება შავი ღრუბლით თავშეხვეული, კალთაში გინევს ნამებული შვილის სხეული, მთელი სამყაროს ცოდვებისგან მხსნელის დედა ხარ, მაგრამ ქალი ხარ უბედური, კენტი, ეული, კალთაში გინევს ნამებული შვილის სხეული, ჯვარზე გაკრული და სიკვდილით ვერდაძლეული!..

**მზის კორიდა**

მზეო, ეს ჟამი უჟამური არის კორიდა, თავგანწირული ბოლთისცემით სისხლად იცლები, რა მშვენიერი, რა მსუბუქი ჩანხარ შორიდან, ერისიონზე ცის ტატნობს რომ ელაციცები.

ფურცლავ კალენდარს, მზეებით და წვიმით დაკანრულს, შენ, ერთადერთი, ამოხვალ და ჩახვალ უცვლელი და როცა ქარი გამაცილებს მინით დაქანცულს, ჩემგან დარჩება მზით გამთბარი ესე ფურცელი.

**ღრო**

დრომ ფოთოლივით მომწყვიტა და ქარში დამაბზრიალა, ფერ-ოქრო გამომიხუნა, ხორცადაც დამაზიანა, არც ჯოჯოხეთში გამიშვა, არც ედემს არ მაზიარა, ათასჯერ დამალამა და ათასჯერ ამამზიანა.

**მარილიანი სიზმარი**

მესიზმრა: ზღვაზე ვიყავი, ვირუჯებოდი მზეზე, მებუტებოდა მზე ხშირად, ბავშვივით უმიზეზოდ, ღრუბლით მოფენილ ზეცაზე იწყებდა სხივი ფათურს, წვიმა დარბოდა კენჭებზე, შვენიოდა წვიმა ბათუმს. მესიზმრა: მარტო ვიყავი, შენ არა მყავდი გვერდით, მოსატაცებლად დამდეგდა თეთრი, ბოროტი გედი, მიკვირდა, როგორ აღმოვჩნდი ამ უდაბნოში მარტო და შენ მაგიერ ეს ტალღა მეფერებოდა რატომ... გამომეღვიძა: შენთან ვარ, დანყდა სიზმრების ბადე, ჩემს ბუდეში ვარ, სახლში ვარ, ხელახლა დავიბადე, მაგრამ საიდან ტუჩებზე მლაშე მარილის გემო?! აუხდენელი სიზმარო, როდემდე უნდა მგვემო!..

**იპსანა დედას**

დაიძინე მშვიდად, დედა, ნანა, დედა, ნანინა, მე მზეზე ვარ, შენ კი პირი მთვარემ დაგაბანინა.

უკვე ჩემზე უმცროსი ხარ, ყელს ამიტომ იღერებ, შენ ისმინე, იავნანას, ახლა შვილი გიმღერებს:

ჩემო თბილო, ჩემო ტკბილო, შენ ჩემო პანანინა, მაგ აკვანში, ციგ აკვანში, რა ხელმა ჩაგანვინა,

ალბათ გასურდა აქ, მინაზე, მუდამ შენ დაგერწიე, მაგრამ ხედავ, დრო გაჩერდა, მეც, უცებ დაგენიე.

დაიძინე მშვიდად, დედა, ნანა, დედა, ნანინა, მე მზეზე ვარ, შენ კი პირი მთვარემ დაგაბანინა.

უკვე შენზე უფროსი ვარ, შენ კი დაპატარავდი, ბლის მურაბებს მე კი არა, იქნებ შენ იპარავდი,

შენ თხუპნიდი ლურჯი მელნით „სუფთა წერის“ რვეულებს, მე კი ფრთხილად გიკემსავდი წინდებს გამორღვეულებს,

მერე ისე გამეპარე, ბავშვებმა რომ იციან, უშენობამ სული, გული, სახლი გამომიციცია...

მენატრები, ამიტომაც ამიტირდა ნანინა, მე მზეზე ვარ, შენ კი პირი მთვარემ დაგაბანინა.









ამ დღეებში მკითხველი იხილავს თამაზ ბაძაღლას ლექსებისა და თარგმანების ახალ კრებულს... უდროოდ წასულ პოეტს წელს 50 წელი შეუსრულდებოდა და გამომცემლებმაც, სიმბოლურად, ორმოცდაათი ლექსი და ორმოცდაათი პოეტური თარგმანი შეარჩიეს. გთავაზობთ ახალ წიგნში შესულ გამოუქვეყნებელ თარგმანებს XX საუკუნის იტალიური პოეზიიდან.

სერჯო კორაციანი

თოვლის სონეტი

ალარაფერი დარჩა ბაღში – ნაღველის გარდა და მკვდარი ზეცის სინყვლიად, სამყაროს ხელა, რომელიც ღრუბლის ბაღებისთვის არწევდა ნელა თავის უკეთეს და მსუბუქ ხელს, ვით ჭვირვალ ფარდას

და დედობრივად თავს უმკობდა სალამოს ანდა სხვა რა ძალუძდა, ეს გვირგვინი – მოძღვნილი წრფელად ნაზი ნუგეშით ამაღლებდა გულს, თითქოს ყველა გამოზაფხულის ყვავილები ეყარა კართან.

მაგრამ როდესაც განთიადი აიძრა გაღმა მსუბუქ ნახტომით თავს დაესხა ღამეს და ბილიკს და ნათელ სხივთა გაღიმებით ღამე შებურა,

გაღღვა ყინული, ვით კუბოში, სველი და ტკბილი თოვლის შავეთში მიიძინა კვლავინდებურად მელანქოლიის ამაყმა და დამჭკნარმა ბაღმა.

კორადო გოვონი

საყვარელი სახეაუბი

გაზაფხულის ცისფერი სახეები. სახურავებზე თოვლი, თეთრი ნიღბების მსგავსად. შეყვარებულთა გასივრება არხების გასწვრივ. კვირა სისხამზე პურის ჩაკვრა და გამოცხობა. მარტის წვიმა, მოხტუნავე რუხ სახურავებზე. გლიცინია კედელს აკრული. თეთრი ფარდები მონაზონთა მღუმარ ფანჯრებზე. შაბათის ზარები. ანთებული სანთლები წმინდა ნაწილების წინ. სარკეები ოთახებში მოციმციმენი. ალისფერი ყვავილები თეთრ მუშაბაზე. ოქროს ლამფები საღამოთა შესაგებებლად. სისხლიანი დაისი, მომაკვდავი, კედელთან ახლოს. ვარდის ფურცლები ავადმყოფთა თავსასთუმალთან. როიალის ხმა დღესასწაულზე. სადაც მინდორში გუგულის „გუ-გუ“. ჭრელი კატები ფანჯრის რაფაზე. სახურავებზე მოგვრტინე თეთრი მტრედები. ქოთნებში ბაღბა. მათხოვრები, რომლებიც ჭამენ ეკლესიის სატრაპეზოსთან. ავადმყოფები, მზისგულისკენ მიფიცხებულნი. გოგონები, მძიმე ოქროს რომ ივარცხნიან მზეში, კარებთან. გოგონები, ღია ფანჯრებთან რომ მღერიან თავდავინწყებით.

კლემენტე რებორა

მარადიული დასვენება

დღეს ცა მიწიდან მოჩანს უბრალოდ ვით ხელისგული დაღლილი უფლის, გასივრული, ბნელი, უქარო... სული კი – ჩრდილში და სულის წინ ჰაერის ზღურბლი.

მსუბუქ ტრიალში იდუმალ სწრაფვით წარმავალ წამებს ებრძვის და ჯაბნის ყოველდღიური, მოკლე და სწრაფი ცვლა – როგორც ჟღერა თანხმიერი ყოველი საგნის.

და მაშინ ისიც უცებ ავარდნილ კვამლის ნიშიდან ზეცისკენ ილტვის და ღამის ზემოთ დღეა მარადი და ნეტარება წმინდა – მისი კაცობრივ რიტმის.

დინო კამპანა

განუალი ქალი

წყალმცენარეებს უკავიათ შენი თმები და ქარის სურნელს, რომელიც მოდის შორეთიდან და შემოაქვს მძიმე აღმური შენს ბრინჯაოსფერ სხეულში. ოი, შენი მწყობრად თლილი ფორმების ღვთაებრივი უბრალოება, არც სიყვარული და არც ტანჯვა, მოჩვენება და გარდაუვალი სიმშვედის თეთრი აჩრდილი მხოლოდ, რომელიც ავსებს სულს თავისუფალ სიხარულით, მომხიბლავ და მშვენიერ შუქით. უსასრულობის სიღრმეებისკენ ძალუძს იმისი გატაცება ალბათ სიროკოს, შენს ხელისგულზე რარიგ პატარა, რარიგ მსუბუქი მოჩანს სამყარო.

უმბერტო საბა

ზღურბლთან

მეგობარი ქალი დიდხანს მესაუბრება, სამწუხაროს მიყვება ამბებს. ეს ამბები ქვად მანვეს გულზე. უბედურების გორგალიდან არ არსებობს გამოსავალი, ვერცერთი ხელი მითუმეტეს ჩემი – უძლური ვერ გამოიხსნის მის უთავბოლო, დაბურდულ კვანძებს. ჩიტი კი წამით გლუვ ლავგარდანზე და ნებიერად წალივლივდება ცის სილურჯეში. ვინაა მასზე ბედნიერი, ფრთები აქვს რადგან, არ იცის კაცის სატანჯველი, რომელიც უკვე იმ ზღურბლს მიადგა, რომლის იქით შეყვარებულსაც, შეყვარებულსაც ველარაფრით დაეხმარება.

პიერ პაოლო პაზოლინი

ამ ქვეყანაზე რაც მებადა: მხოლოდ ყურები, მხოლოდ თვალები და მზესავით ნათელი შუბლი და სააღლუმო შარვალი კიდევ.

ამ ქვეყანაზე რაც მებადა: მხოლოდ ყურები... და მე ვუსმენდი თოლიების უცნაურ ჭყვივს, მეთევზეების და გლეხების გაბმულ მოძახლს.

სიმღერებს, ზარებს... აი, თითქოს თხუთმეტი წლის ვარ! ოცისაც გავხვდი! დაბუბკილი ტანისამოსი, დედა – ქვასავით.

მე ვიყავ მარტო, ვიცინოდი, ვცეკვავდი და ვმხიარულობდი.

ვინჩენცო კარდარელი

პორტრეტი

არსებობს ბაგე – ქვაში ნაკვეთი და ანგელოზის სახე ნათელი, ორაზროვანი, უძვირფასესი მკრთალი ქმნილება, მარგალიტის მწყობრი კბილებით და გაჩქარებულ ნაბიჯებით და არსებობს მისი ღიმილი, ჰაერი, ეჭვი, ბრწყინვალეობა, როგორც სინათლის უხილავი დაბოლოება.

ჯუზეპე უნგარეტი

უპილოვა

მე მთელი ღამე გავატარე მოკლულ მეგობრის გვერდით, ის იწვა — კბილებდაკრეჭილი და მთვარისკენ პირმიქცეული, სისხლი ნვეთავდა ხელებიდან და ჩემს დუმილს ავსებდა სისხლი. მე კი ვწერდი სიყვარულით სავსე ბარათებს და არასოდეს არ ვყოფილვარ ასე ძლიერად სიცოცხლესთან გადაჯაჭვული.



სალვადორე კვაზიმოდო

ქარი ტინდარში

ტინდარი, ვიცი შენი სინაზე ღვთაებრივი ტკბილ კუნძულების მალლა, წყალზე ჩამოხრილი გორაკებიდან იქცევი ჩემში და გულს გასჭოლავ.

მე ჰაეროვან გრეხილებით მივიწვე მალლა ფიჭვების ქარის შესაგებებლად და მეგზურები მაცილებენ ქარში მსუბუქად, სიყვარულის და ხმების ტალღებით და მიკრავ გულში აჩრდილთა შიშის და დუმისის გზაჯვარედინზე ოდესღაც მყარი სიტკბოების და მკვდარი სულის თავშესაფარი.

უცნობია შენთვის მინა, სადაც ყოველდღე ვიძირები და საიდუმლო სიტყვებს ვკვებავ: სხვა სინათლეა არეკლილი შენს ფანჯრებზე, ღამის სამოსში და შენს ნიალში სიხარულიც კი არ მამშვიდებს.

ხოლო განდევნა არის ნამება და გუშინდელი ლტოლვა – ლტოლვა ჰარმონიისკენ სიკვდილის მძაფრი შიშით არის დღეს გაჟღენთილი. თითოეული სიყვარული არის თავდაცვა მწუხარებისგან, წყნარი ნაბიჯი სიბნელეში, სადაც უკვე შენ მაიძულე, რომ უმწარესი პური გავტეხო.

ტინდარი გვახვევს გამჭვირვალეების საოცრებაში და გამაღვიძებს უნაზესი მეგობარი, რათა უეცრად ამ კლდეებიდან ავიხარო დაბურულ ცისკენ და ვაგრძნობინო ჩემი შიში მათ, ვინც არ იცის რომ ღრმა ქარი დამეძებს უკან.

ეუჯენიო მონტალე

\*\*\*

მე მზესუმზირას ნერგი გთხოვე, უნდა ჩავყარო მარილიან და გამოშაშრულ მიწაში, ალბათ მალლა აიშვერს ყვითელ სახეს, რათა სამყაროს ცისფერ სარკეში ჩაიხედოს, ჩუმად და ხარბად.

ბუნდი საგანი სიცხადისკენ ილტვის, ანკარა საღებავებში იკრუნჩხება უფორმო სახე. ეს მუსიკაა. იძერწება იგი ამგვარად, ხვედრი რჩეული, ბედისწერა რომელსაც გვახვევს!

მე მზესუმზირას ნერგი გთხოვე, მეც მიფრინავდი იმ გამჭვირვალე სამეფოსკენ, იმ ცისკენ, სადაც ბნელი სიცოცხლე ეთერივით ადნება სადაფს, მე ნერგი გთხოვე მოცახცახე შორი სინათლით.

სანდრო პენა

\*\*\*

ჩემი ტავერნის შავ კიბეებზე ჩადიხარ, ქარით მთლად განენილი ღამაში თმები გებლარდნება თვალებზე ურჩად თითქოს ჩემს ციურ სფეროში ცხოვრობ შორეული და მიუღწეველი. ტავერნის მსუთრში იჭრება ახლა პორტის და ქარის შმაგი სურნელი, თავისუფალი ქარი, ბრმად რომ ძერწავს სახეებს და მოძრაობენ ნაბიჯები თეთრად მბრწყინავ სანაპიროზე.

# „საგურამოს“ ახალი ლაურეატები



ლია სტურუა

8 ნოემბერს, საგურამოში, ილია ჭავჭავაძის დაბადების დღე აღინიშნა და ტრადიციული დაჯილდოების ცერემონია - ილიას მედლისა და ყოველწლიური ლიტერატურული პრემიების გადაცემა გაიმართა.

მცირე ექსკურსი: 2002 წელს ილია ჭავჭავაძის რესტავრირებულ სახლ-მუზეუმში ერთ კარგ ტრადიციას ჩაეყარა საფუძველი - საქველმოქმედო ორგანიზაცია „ილიას ფონდისა“ და ფორმა „კალასის“ თაოსნობით დაარსდა ილია ჭავჭავაძის მედალი და ლიტერატურული პრემია „საგურამო“ შემდეგ ნომინაციებში: „პოეზია“, „პროზა“, „კრიტიკა“, „თარგმანი“, „ხელოვნება“, „ჰუმანიტარული მეცნიერება“.

ილიას მედალი ქართული კულტურისა და სულიერების წინაშე განსაკუთრებული ღვაწლისათვის მინიჭებული აქვთ სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქს ილია II-ს, ანზორ ერქომაიშვილს, ანა კალანდაძეს, ოთარ ჩხეიძეს, თამაზ ჩხენკელს, ბიძინა კერნაძეს. ლიტერატურული პრემიები კი ამ წლებში გადაეცათ ქართული სიტყვის ისეთ აღიარებულ ოსტატებს, როგორცაა ბესიკ ხარანაული, ტარიელ

ჭანტურია, იზა ორჯონიკიძე, ნუგზარ შატაიძე, გურამ დოჩანაშვილი, ჭაბუა ამირეჯიბი, ნოდარ ნულეისკირი, ბაჩანა ბრეგვაძე, დალი ფანჯიკიძე, ვახუშტი კოტეტიშვილი, დავით წერეთელი და სხვები.

წლებიდან დაჯილდოებაზე შემდეგი ლაურეატები დასახელდნენ:

ილია ჭავჭავაძის მედალი მიენიჭა ყველა დროს ერთ-ერთ საუკეთესო ქართველ რეჟისორს **რობერტ სტურუას** (ვინაიდან ბატონი რობერტი საქართველოში არ იმყოფებოდა, ჯილდო მის ვაჟიშვილს გადაეცა).

ლიტერატურული პრემიები კი ნომინაციების მიხედვით ასე განაწილდა:

- პოეზია - **ლია სტურუა**;
- პროზა - **ნაირა გელაშვილი**;
- კრიტიკა - **თეიმურაზ დოიაშვილი**;
- თარგმანი - **ლელა სამნიაშვილი**;
- ხელოვნება - **თენგიზ არჩვაძე**;
- ჰუმანიტარული მეცნიერება - **ედიშერ ჭელიძე**.

იყო კიდევ ერთი საინტერესო დეტალი - წელს პირველად „საგურამოს“ ლაურეატებს ილიას კაბინეტში, მის სამუშაო მაგიდასთან მოუწიათ სამახსოვრო ფოტოების გადაღება.



ლელა სამნიაშვილი



თეიმურაზ დოიაშვილი



ნაირა გელაშვილი



ედიშერ ჭელიძე



თენგიზ არჩვაძე



ლალი ჩაჩუას ფოტორეპორტაჟი

## გამოსათხოვარი

ბოლო წლებში ხშირად გვინევის იმის თქმა, რომ სიკვდილი მეტისმეტად გაგვიშინაურდა; ერთი ახლობლის გამოგლოვებას ვერ ვასწრებთ, მეორის უბედურების ამბავს ვიგებთ. უზომოდ დამწყვიატა გული სიცოცხლითა და ხალისით სავსე ადამიანის, ქართველი მწერლების უერთგულესი მეგობრის, მრავალთაგან გამორჩეული ფოტოხელოვანის მურმან ჩაჩუას მართლაცდა უღვთო სიკვდილი.

შემთხვევითი არ გახლავთ, რომ ნიჭიერ ფოტოგრაფებს კულტურულ ქვეყნებში პოეტებად მოიხსენიებენ. სწორედ ასეთი პოეტი იყო მურმან ჩაჩუა, რომლის გადაღებული სურათები, თუნდაც მისი თვალთ დანახული თბილისის უბნები ლექსებით ქმნიან სასურველ განწყობილებას. უმთავრესი მაინც ის არის, რომ მან თანამედროვეთა, მის გვერდით მცხოვრებთა მრავალფეროვანი, უმდიდრესი გალერეა დაგვიტოვა. მურმან ჩაჩუა თითოეული ადამიანის ბუნებას, ხასიათს ითვალისწინებდა და ამიტომაც ქმნიდა საუკეთესო პორტრეტებს. ამ მხრივ იგი ჩვენი დაუვიწყარი გურამ თიკანაძის ხაზის გამგრძელებლად გვესახება.


გარდა იმისა, რომ დახვეწილი ლიტერატურული გემოვნება ჰქონდა, შეუცდომლად არჩევდა მწერლობის ავკარგს და ყველას ფასი იცოდა. მისნაირი გამჭრიახი გონებისა და მოქნილობის პატრონი სხვა გზას რომ დადგომოდა, უთუოდ წარმატებული მენეჯერი ან მეწარმე, შეძლებული კაცი დადგებოდა, მაგრამ მან ეს არ ისურვა, მეგობარი მწერლების არცთუ დალხინებული ბედი გაიზიარა.

მურმან ჩაჩუა უაღრესად მოკრძალებული, თავმდაბალი ადამიანი იყო და ყველაფერში ბუნებრიობა უყვარდა. აპარატომოზარჯვებული, არასოდეს გეტყოდა, რანაირი პოზა მიგელო. ხშირად, სულ რომ არ მოელოდი ისე, „ჩაგაკარტიჩებდა“ და ასეთი სიურპრიზები მუდამ ამართლებდა. ბევრ ქართველ მწერალს დასდო თავისებური ამაგი - უამრავი სურათი აქვს გადაღებული, რომელთაც მერე უანგაროდ არიგებდა. მაღლიერების გრძნობითა და სინანულით იგონებენ მის თავაზიან ყურადღებას.

დალუპვამდე თვენახევრით ადრე, საღამოხანს,

# სურათებად ქცეული ნამები

მურმან ჩაჩუამ სახლში დამირეკა. ჩამქრალი, მოყრუებული ხმა კი ჰქონდა, მაგრამ შიში, სასოწარკვეთა ვერ შევატყვე, თითქოს სხვა ვინმეზე მელაპარაკებოდა. მითხრა, თავის ტვინშიც ჩანს სიმსივნე, მაგრამ ამაზე ექიმები მამშვიდებენ, უფრო უროლოგიური ამბები მანუხებებს, იქაც მოთესილი ყოფილა და ეგებ ლაური მან-



აგაძეს დაურეკო, რომ მიმიღოსო. ვუთხარი, ბატონ ლაურისთან ასეთი ახლო ურთიერთობა არ მქონდა და გზავსწავლე, ჯანსუღ ჩარკვიანის ტელეფონი მივეცი - ჯანსუღის სიყრმის მეგობარი, საუკეთესო უროლოგი ბორის ჩხოტუა და მისი ვაჟი, ასევე დიდებული სპეციალისტი, არჩილი, ერთად მუშაობენ უროლოგიის ინსტიტუტში და, თუ საჭირო გახდა, მთავარ ექიმთან ისინი მიგყვებიან-მეთქი. მურმანის დარეკვის მერე ჯანსუღს ყველაფერი ელონა, მამა-შვილი გაეფრთხილებინა, თქვენთან ქართველი მწერლების უახლოესი მეგობარი მურმან ჩაჩუა მოვა და ყოველნაირად მიხედეთო. მურმანი რატომღაც აღარ მისულა პირველ საავადმყოფოში (ალბათ ცუდად გახდა იმ დღეებში). მე რამდენჯერმე დავრეკე მასთან და არავინ მიპასუხა. მალე ვანო ამირხანაშვილმა და უჩა შერაზა-დიშვილმა მითხრეს, უკიდურესად მძიმედ არის, გადარჩენის პირი არ უჩანსო. ორივენი საშინლად იყვნენ შეწუხებული. ოქტომბრის დამლევს მისულიყვნენ მომაკვდავთან და ნეტავი არ გვენახა, ცნობიერება აღარ ჰქონდაო.

ადრეც დამიჩვილია - თანდათან ფართოვდება წრე ჩემი ახლობლებისა, ბედისგან რომ გაინიშნენ. მე ძალიან ხშირად ვფიქრობ და ვწუხვარ ამქვეყნიდან წასულებზე. მურმან ჩაჩუაც მათ მიემატა. სწორედ მასზე ფიქრმა დაბადა ეს უბრალო, ნაღვლიანი ოთხი სტრიქონი:

**რა ენამლება წყულის ნაკრავს,  
ასე რომ გვზარავს, ხმა დაცემის;  
ძაფზეა გული... რამდენი გაქრა,  
სიკვდილისაგან ხელნატაცები.**

იმის იმედილა უნდა ვიქონიოთ, რომ კაცური კაცის ნაკვალევი ასე იოლად არ წაიშლება. ბევრ ჩვევანს კეთილ მოსაგონარად დარჩა ბროლის ამოზნექილ ლინზაზე არეკლილი, დროის მდინარიდან ამოსროლილი, წითლად დანინკლული კალმახებივით ასხმარტალებული, მურმან ჩაჩუას ჯადოსნური ხელით სამუდამოდ დატყვევებული, გაუხუნარ სურათებად ქცეული ნამები.

# მწერლები იცინიან

## „ის, რაც სასაცილოა, არ შეიძლება საშიში იყოს“.

ვოლტერი

\*\*\*

გაზეთ „პრავდის“ ძველი თანამშრომლები იხსენებდნენ: ერთხელ, პირად საუბარში, სტალინმა ილია ერენბურგის რომანს „ქარიშხალი“ უწოდა — „ქარიშხალი ერთ ჭიქა წყალში“. რედაქციამ გადაწყვიტა, გამოხმარებოდა ბელადის შენიშვნას და მოაწყო რომანის განხილვა, რათა დაეგმოთ ავტორის ბურჟუაზიული კულტურისადმი კოსმოპოლიტური დამოკიდებულება.



განხილვა დიდხანს გაგრძელდა. ავტორი მკაცრად გააკრიტიკეს და თითქმის დასაპატიმრებლად გაიმეტეს.

ერენბურგი მშვიდად უსმენდა. ამან უფრო გაანანყენა ორატორები და მოითხოვეს, ერენბურგს პასუხი გაეცა ამ ბრალდებაზე.

ერენბურგმა განაცხადა: — მაღლობელი ვარ ასეთი დიდი ყურადღებისათვის. ამ რომანის შესახებ მრავალი წერილი მივიღე. მკითხველთა მოსაზრებანი ხშირად არ ემთხვევა თქვენს გამოხატვებებს. ნება მომეცით წავიკითხოთ ერთი ასეთი ტელეგრამა: „დიდი ინტერესით წავიკითხე „ქარიშხალი“. გილოცავთ წარმატებას. ი. სტალინი“.

დარბაზში სიჩუმე ჩამოვარდა. შეკრების თავმჯდომარე თანდათან გამოერკვა და წარმოსთქვა:

— ამით ილია ერენბურგის საინტერესო რომანის განხილვა დამთავრებულია.

\*\*\*

როდესაც პოლონელ მწერალ-სატირიკოს სტანისლავ ლეცს ჰკითხეს, რატომ წერდა ასე მოკლედ, გაიღიმა: — სიტყვები არ მყოფნის.

\*\*\*

ერთხელ ანა ახმატოვა იხუმრა: — როდესაც ქუჩაში შემოგვსმებათ სიტყვა „სულელი“, — არაა აუცილებელი, უკან მიიხედოთ.

\*\*\*

იყო ასეთი რუსი მწერალი-ჟურნალისტი გრიგოლ რიკლინი, რომელიც ყვებოდა:

— ოცდაათიანი წლების დასაწყისში სტალინმა კრემლში ჟურნალისტები მიიწვია. ბოლოს კოლექტიური ფოტო გადავიღეთ და მე სტალინის გვერდით აღმოვჩნდი. რეპრესიების დაწყებდანვე ფოტოსურათიდან დაპატიმრებული სახეების ამოჭრა დავიწყე: თავდაპირველად — ერთი, სამი, ხუთი ამოვჭერი. მერე და მერე თანდათან გაქრნენ ჟურნალისტები და ცეკას წევრები. ბოლოს მე და სტალინი დავრჩით. XX ყრილობის შემდეგ კი მართო ვარ.

\*\*\*

ერთხელ ჩეხოვმა და ბუნინმა ეტლი დაიქირავეს და ზღვის სანაპიროზე გაისეირნეს. ბუნინი ზღვაში კენჭებს ისროდა.

— როგორი გამჭვირვალე წყალია, — თქვა მან, — ყოველი კენჭი ჩანს. ადამიანის სული კი შეუცნობელია. მაგალითად, თქვენ ვერასგზობთ ვერ მხედვებით, რას ვფიქრობ ამჟამად მე.

— თქვენ ამჟამად ფიქრობთ იმაზე, თუ ვინ გადაიხდის ეტლის ფულს, — უპასუხა ჩეხოვმა.

\*\*\*

ერთი პიროვნება ძალიან ჰგავდა კრილოვს, ოღონდ ცოტა გამხდარი იყო. იგი ცდილობდა უფრო მეტად დამსგავსებოდა მწერალს და გაძლიერებულ კვებაზე გადავიდა.

— ორი ფუნტილა მაკლია და კრილოვის წონას მივალწევ, — განუცხადა მან მეგობრებს.

— ზუსტად ორ ფუნტს იწონის ადამიანის ტვინი, — შენიშნა ერთმა მეგობარმა.

\*\*\*

ერთხელ ჰაინესს ჰკითხეს, რას აკეთებდა დღისით:

— წინა დღეს დაწერილი ლექსი წავიკითხე და ერთგან მძიმე დავსვი, — უპასუხა პოეტმა.

— სალამოს?  
— სალამოს ისევე გადავიკითხე ის ლექსი და მძიმე ამოვმალე, ვინაიდან ზედმეტი აღმოჩნდა.

\*\*\*

ჰაინესს ჰკითხეს, თქვენი აზრით, ლისტი უფრო კარგი პიანისტია თუ ტალბერგო?

— შოპენი! — უპასუხა ჰაინემ.

\*\*\*

ამერიკელი მწერალი ფრენსის ჰარტი რიჩმონდში ჩავიდა თავისი მოთხოვნების წასაკითხად. უცებ თავი შეუძლოდ იგრძნო. ერთმა ადგილობრივმა მოქალაქემ დაამშვიდა და საკუთარი ქალაქის კლიმატი შეაქო:

— ჩვენს ქალაქში დღეში მხოლოდ ერთი ადამიანი კვდება.


— დღევანდელი კანდიდატი უკვე გარდაიცვალა? — ჰკითხა შეშინებულმა მწერალმა.

\*\*\*

— გენიალობა მართლა დაავადებაა? — ჰკითხეს ერთხელ ჰიპოკრატეს.  
— რა თქმა უნდა, ოღონდ, სამწუხაროდ, ძალიან იშვიათი დაავადებაა და არასდროს არაა გადამდები, — უპასუხა მედიცინის მამამ.

\*\*\*

რუსო და დიდრო ერთი ტბის პირას სეირნობდნენ. დიდრომ თავის თანამგზავს გაანდო:



— ალბათ, ერთი ოცჯერ მაინც ვცადავ ამ ტბაში თავის დახრჩობა.

— რამ გადაგაფიქრებინა? — დაინტერესდა რუსო.

— ხელთი წინასწარ გამონმბედი წყალს და ყოველთვის ძალიან ცივი მეჩვენებოდა.

\*\*\*

ჰიუგოს ერთი ახალგაზრდა დალაქი ჰყავდა, რომელსაც სასწაულებისა სჯეროდა. დალაქმა ერთხელ ჰიუგოს აუწყა: — დედამიწას კომეტა უახლოვდება. ამბობენ, ორ იანვარს მთელი ცხოველთა სამყარო დაილუპება, ოთხ იანვარს კი — ყველა ადამიანი.

— ღმერთო ჩემო, — წამოიძახა ჰიუგომ, — კი მაგრამ, ვინდა გამპარსავს მე სამ იანვარს?!

\*\*\*

მძიმე ავადმყოფობის შემდეგ სომერსეტ მოემს ერთმა თავყვანისმცემელმა დაურეკა და ჰკითხა, შეუძლია თუ არა ხილი ანდა ყვავილები გამოუგზავნოს.



— ხილს სიამოვნებით გეახლებით, — უპასუხა მწერალმა, — რაც შეეხება ყვავილებს, მე მგონი, ჯერჯერობით ადრეა.

\*\*\*

ფრანგ მწერალ პოლ კლოდელს ჰკითხეს:

— შენ კათოლიკე ხარ და როგორ მეგობრობ ათეისტ მხატვართან?

— იმიტომ, რომ იმქვეყნად ველარ შეგვხვდები.

\*\*\*

იტალიელ პოეტს ლუდოვიკო არიოსტოს გაბრაზებულმა მამამ საკმაოდ გრძელი ნოტაცია წაუკითხა. ვაჟიშვილი ყურადღებით უსმენდა და თვალს არ აშორებდა. ძმამ, რომელიც იქვე იდგა, ჰკითხა არიოსტოს, რატომ თავი არ გაიმართლეო.

— ახალ კომედიას ვწერ, სადაც მოხუცი მამა შვილს კიცხავს. ამიტომ დიდი ინტერესით ვაკვირდებოდი და ეს სცენა თითქმის მზადა მაქვს, ქალაქში გადატანა მაკლია, — უპასუხა ძმამ ძმას.

\*\*\*

— რატომ არიან შურიანი ადამიანები ყოველთვის უკმაყოფილონი? — ჰკითხეს არისტოტელეს.

— იმიტომ რომ აწუხებთ არა მარტო საკუთარი წარუმატებლობა, არამედ სხვათა წარმატებანიც.

\*\*\*

ერთი მოლაყებ ძალიან დიდხანს უამბობდა არისტოტელეს რომელიღაც ამბავს და ბოლოს მოუბოდიშა:

— უკაცრავად, ხომ არ გადაგვალეთ? — როგორ გეკადრებათ, მე თქვენ არ გისმენდით, — დაამშვიდა ბრძენმა.

\*\*\*

ერთხელ რობერტ ბერნსი ასეთ ამბავს შეესწრო: მდიდარი იხრჩობოდა და მოჯამაგირემ გადაარჩინა. გადარჩენილმა, მადლიერების ნიშნად, გადამრჩენელს ვერცხლის ერთგრომანი გაუწოდა. თანასოფლელები აღშფოთდნენ და აყვირდნენ, ისევე წყალში გადააგდე ეგ უმადურო. ბერნსმა ყველანი დაამშვიდა:

— დაანებეთ თავი, მაგან თვითონაც კარგად იცის საკუთარი ფასი.

\*\*\*

ერთმა ახალგაზრდამ ბერტოლდ ბრეხტს შესჩვილა: ძალიან კარგი ჩანაფიქრი მაქვს და რომანი მინდა დავწერო, ოღონდ არ ვიცი როგორ დავიწყო.

— ძალიან უბრალოდ, — უპასუხა ბრეხტმა, — დაიწყეთ სუფთა ფურცელზე მარცხენა ზედა კუთხიდან.

\*\*\*

ერთხელ ბუალოს ლუდოვიკო მეთოთხმეტემ საკუთარი ლექსები წაუკითხა და სთხოვა აზრი გამოეთქვა:

— დიდო ხელმწიფევ, — უპასუხა ბუალომ, — თქვენი ბრწყინვალეებისათვის შეუძლებელი არაფერი არსებობს: თქვენ განიზრახეთ დაგვენრათ სუსტი ლექსები და წარმატებით შეასრულეთ თქვენი განზრახვა.

\*\*\*

ინგლისის დედოფალ ვიქტორიას ძალიან მოეწონა ლუის კეროლის „ალისა საოცნებათა ქვეყანაში“ და ბრძანა — შეეძინათ კეროლის ყველა ნიგნი. დედოფალი სახტად დარჩა, როცა ნიგნები გადაათვალიერა და მხოლოდ და მხოლოდ უმაღლესი მათემატისკის მეცნიერული შრომები იხილა.

\*\*\*

თომას მანი ერთ-ერთ სკოლაში მიიწვიეს. მასწავლებელმა მწერალს ყველაზე ნიჭიერი მოსწავლე წარუდგინა. მწერალმა ჰკითხა:

— რომელ გამოჩენილ მწერლებს იცნობთ?

— ჰომეროსს, შექსპირს, ბალზაკს და თქვენ, ოღონდ თქვენი გვარი დამავინყდა, — უპასუხა ნიჭიერმა მოსწავლემ.

\*\*\*

ერთმა ახალგაზრდა მწერალმა თომას მანს თავისი ხელნაწერები მიუტანა და შეფასება სთხოვა

— თქვენ რაც შეიძლება მეტი და მეტი უნდა იკითხოთ, — ურჩია მწერალმა.

— ნუთუ ეს აუცილებელია? — გაიკვირვა ახალგაზრდამ.



— რა თქმა უნდა, აუცილებელია. თქვენ ძალიან ბევრი უნდა იკითხოთ, რომ რაც შეიძლება ცოტა დრო დაგრჩეთ წერისათვის.

## ლიტერატურული გაზეთი

გამოდის საქართველოს კულტურის, ძეგლთა დაცვისა და სპორტის სამინისტროს ფინანსური მხარდაჭერით

რედაქტორი ირაკლი ჯავახიძე  
რედაქტორის მოადგილე უჩა შერაზადიშვილი  
ჟურნალისტები ხათუნა ალხაზიშვილი, თამარ ყურული

ტელ.: 292196; მობ. ტელ.: (877)742277; (899)269852; e-mail: litgazeti@yahoo.com